

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნინო ძამუკაშვილი

ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან მშვიდობისა და  
უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში: ცვალებადი  
დამოკიდებულების მიზეზები

სამაგისტრო პროგრამა: დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია დიპლომატიისა და საერთაშორისო  
პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ეკა აკობია

ასოცირებული პროფესორი

საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი

თბილისი

2017

# ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში: ცვალებადი დამოკიდებულების მიზეზები

## ანოტაცია

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში, კონკრეტულად კი, ფოკუსს აკეთებს ევროკავშირის გაეროსთან თანამშრომლობაზე სამშვიდობო ოპერაციებში. სფერო, რომელშიც ევროკავშირის ჩართულობა მინიმალური იყო, 2000-იანი წლებიდან ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა. დღესდღეობით, კრიზისების მოგვარებაში, ევროკავშირი მნიშვნელოვან პარტნიორად აღიქმება, განსაკუთრებით კი გაეროს მხრიდან. ევროკავშირი, გაეროს თხოვნით, ხშირად ახორციელებს სამშვიდობო ოპერაციებს სხვადასხვა კონფლიქტურ რეგიონებში, თუმცა თანამშრომლობის პროცესი ცვალებადია.

ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა შემდეგნაირადაა დასმული: რა განაპირობებს ევროკავშირის ცვალებად დამოკიდებულებას გაეროსთან მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის მიმართ?

კვლევის პროცესში გამოიკვეთა წევრი ქვეყნების, განსაკუთრებით კი დიდი და ძლიერი სახელმწიფოების როლი. გადაწყვეტილებები ქვეყნების მთავრობებს შორის მოლაპარაკებების შედეგად მიიღება. ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები კი პროცესის წარმმართველი ფაქტორებია. ამდენად, ნაშრომი ავითარებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ცვლილება განაპირობებს მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ ევროკავშირის ცვალებად დამოკიდებულებას.

ნაშრომი ეყრდნობა ინტერგავერნმენტალიზმის თეორიას, რომელიც, მართალია რეგიონული ინტეგრაციის გასაანალიზებლად განვითარდა, თუმცა ასევე კარგად ხსნის კვლევაში განხილულ საკითხს და გვეხმარება ჰიპოთეზის უკეთ ახსნასა და გააზრებაში. ნაშრომი იყენებს თვისებრივი კვლევის მეთოდს და ქვის სთადის და ემყარება

პირველადი და მეორადი წყაროების ანალიზს, როგორებიცაა ევროკავშირისა და გაეროს დირექტივები, ერთობლივი ქმედებებისა და გადაწყვეტილებების დოკუმენტები, სხვადასხვა ავტორების ნაშრომები თუ სტატისტიკური მონაცემები.

**საკვანძო სიტყვები:** თანამშრომლობა, ევროკავშირი, გაერო, სამშვიდობო ოპერაციები, ინტერგავერნმენტალიზმი, ინტერესები

# EU Cooperation with the UN in the Field of Maintaining Peace and Security: The Reasons for Varying Attitudes

Nino Dzamukashvili

## Abstract

The purpose of the research is to analyze EU cooperation with the UN in the field of maintaining peace and security. Focus is made on the cooperation in peacekeeping operations. A policy field, where EU's involvement was minimal throughout a long period, became a priority for the EU from 2000s. Nowadays the EU is considered as one of the most important partners in crisis management, especially for the UN. The EU often conducts peacekeeping operations on the basis of the UN request. Though, the process of cooperation is changeable.

The main research question is: What causes the varying attitudes of the EU towards the UN in the field of maintaining peace and security?

The research demonstrates, that the great powers of the EU have the key role in the decision making process; decisions are made on the intergovernmental level; political and economic interests are the driving factors of the process. Accordingly, the hypothesis of the research states that the changing political and economic interests of the big states causes the varying attitude of the EU towards the UN in the field of maintaining peace and security.

The research uses the theoretical framework of Intergovernmentalism. It was originally developed for the explanation of the regional integration, but it also explains the topic that is introduced in the research and helps to analyze the hypothesis. The research uses the qualitative research method and relies on the Case Study methodology. During the research, primary as well as the secondary sources are analyzed.

**Key words:** cooperation, European Union, United Nations, peacekeeping operations, intergovernmentalism, interests

# სარჩევი

აბრევიატურები.....	6
შესავალი.....	7
კვლევის საგანი.....	7
კვლევის აქტუალურობა და მნიშვნელობა.....	11
კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი მიმართულებები.....	12
ნაშრომის სტრუქტურა.....	14
თავი 1 : საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო.....	16
1.1. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა.....	16
1.2. თეორიული ჩარჩო.....	23
თავი 2: ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან კრიზისების დარეგულირების საკითხებში.....	29
2.1. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება. 29	
2.1.1 საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების ისტორია.....	29
2.1.2. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოებაში ჩართული.....	31
ინსტიტუტები.....	31
2.2. სერთაშორისო კრიზისების დარეგულირების საკითხებში ევროკავშირისა და ....	33
გაეროს თანამშრომლობის განვითარება.....	33
2.3. Case Study - ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან სამშვიდობო მისიებში..	35
2.3.1. ქეისების მიმოხილვა.....	36
თავი 3: ევროკავშირის ცვალებადი დამოკიდებულების მიზეზები გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ სამშვიდობო ოპერაციებში; საკითხის თეორიულ ჭრილში განხილვა.....	48
3.1. საკმარისი და საჭირო პირობების კონცეფცია.....	48
ცვლადების ოპერაციონალიზაცია.....	48
3.2. ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან ინტერგავერნმენტალისტური.....	54
თეორიის ჭრილში.....	54
დასკვნა.....	57
ბიბლიოგრაფია.....	59

## აბრევიატურები

- **CFSP** - საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა
- **CSDP** - საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
- **ESDP** - ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა
- **TEU** - ევროკავშირის ხელშეკრულება
- **EUMC** - ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი
- **Civcom** - სამოქალაქო კრიზისების მართვის კომიტეტი
- **PSC** - პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი
- **COREPER** - მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი
- **EEAS** - ევროპის საგარეო ქმედების სამსახური
- **EPC** - ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა
- **EDC** - ევროპის თავდაცვის გაერთიანება
- **DRC** - კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა
- **CAR** - ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა

## შესავალი

ევროკავშირმა, ჩამოყალიბებიდან დღემდე, განვითარების მრავალი ეტაპი განვლო და ეკონომიკური გაერთიანებიდან მსოფლიოში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ ძალად იქცა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაიწყო საერთო საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბება. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) განვითარებამ ევროკავშირს საშუალება მისცა ემოქმედა კავშირის ფარგლებს გარეთ და საკუთარი როლი შეესრულებინა საერთაშორისო ასპარეზზე.

ევროკავშირის მიზანი იყო დაეცვა საკუთარი ღირებულებები და ფასეულობები, როგორებიცაა, მაგალითად, ადამიანის ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები თუ დემოკრატიული პრინციპები, როგორც გაერთიანების შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც. მას სურდა, საკუთარი წვლილი შეეტანა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და კრიზისების დარეგულირებაში. ამისთვის, ევროკავშირმა დაიწყო საშვიდობო ოპერაციების განხორციელება მსოფლიოს სხვადასხვა კრიზისულ რეგიონში. ამ ოპერაციების ხასიათი განსხვავებულია და შეიძლება მოიცავდეს როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო მისიებს.

ევროკავშირი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა რეგიონალურ თუ გლობალურ ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი გაეროსთან. შეიძლება ითქვას, რომ იგი გაეროსთვის უმნიშვნელოვანესი პარტნიორია კრიზისების მოგვარების სფეროში. მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში, მათი თანამშრომლობა 2000-ინი წლებიდან იწყება და 2003 წლიდან დღემდე, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უამრავი ერთობლივი სამხედრო თუ სამოქალაქო მისია განხორციელეს.

## კვლევის საგანი

2003 წლიდან დღემდე, ევროკავშირმა და გაერომ განახორციელეს ერთობლივი მისიები როგორც აფრიკის ქვეყნებში, ისე ავღანეთში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა თუ სხვა რეგიონებში. მათ გააძლიერეს სტრატეგიული პარტნიორობა სამშვიდობო პროცესებსა და კრიზისების მოგვარებაში. ისინი მუდმივად აღრმავებენ თანამშრომლობას სტრატეგიულ და ოპერაციულ დონეზე, კონსულტაციებისა და კოორდინირების მექანიზმების დაარსებითა და განვითარებით.

თუმცა, ევროკავშირის პოზიცია ცვალებადია; 2003 წლიდან დღემდე, თანამშრომლობის ხარისხი და ხასიათი იცვლება. საინტერესო ფაქტია, რომ ევროკავშირი ყოველთვის არაა მომხრე, გაეროსთან ერთად განახორციელოს სამშვიდობო მისიები. მაგალითად, 2008 წელს, ევროკავშირმა უარი განაცხადა გაეროს თხოვნაზე, სამხედრო ძალით ჩარეულიყო კონგოს კრიზისში (Cirliq, 2015). აგრეთვე, 2012 წლიდან, ნიგერიაში, სამხრეთ სუდანსა თუ აფრიკის რქის რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული მისიების დროს, ევროკავშირის მხრიდან მხოლოდ მცირერიცხოვანი, არასამხედრო ჯგუფები იყო გაგზავნილი. თუმცა, იმავე წელს ჩადში, 2013 წელს, ლიბიაში და მალიში, ევროკავშირმა კვლავ განახორციელა სამშვიდობო ოპერაციები გაეროს თხოვნით მისი საქმიანობის ფარგლებში. ევროკავშირის ცვალებადი დამოკიდებულება გაეროსთან მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში, მისი დეკლარირებული ფასეულობების გათვალისწინებით, ერთგვარ თავსატეხს წარმოადგენს, რაც კვლევას საჭიროებს.

**საკვლევი კითხვა:** რა განაპირობებს ევროკავშირის ცვალებად დამოკიდებულებას გაეროსთან მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში თანამშრომლობის მიმართ?

ნაშრომში ქვე-კითხვებად გამოვიკვლევ შემდეგს:

- რა ახდენს გავლენას გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ევროკავშირში, სამშვიდობო ოპერაციების დაწყებასთან დაკავშირებით?
- რა განაპირობებს ევროკავშირის ჩართულობას სამშვიდობო ოპერაციებში?
- რა პირობებში ამჯობინებს ევროკავშირი თანამშრომლობას და რა პირობებში ეუბნება გაეროს უარს დახმარებაზე?

კვლევა აჩვენებს, რომ ევროკავშირის ქმედებები საგარეო პოლიტიკაში, განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორების კომპლექსურობითა და ერთობლიობით:

ა) საგარეო პოლიტიკურ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას, უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება წევრი სახელმწიფოების სურვილსა და ნებას. ისინი უფრო ადვილად მიდიან კონსენსუსზე, თუ მიღებული გადაწყვეტილება თანხვედრაშია მათ ინტერესებთან;

ბ) განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროკავშირის დიდი სახელმწიფოების ინტერესებს, ვინაიდან მათ ადვილად შეუძლიათ თავიანთი გავლენისა და რესურსების გამოყენება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე;



გ) გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ სხვადასხვა ინსტიტუტები, როგორებიცაა მაგალითად პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი და სამხედრო კომიტეტი.

დ) ევროკავშირის ქედებები ეხმიანება ნორმატიულ ფასეულობებსა და ღირებულებებს. თუმცა, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ნაკლები გავლენა აქვს.

ამდენად, ნაშრომი ავითარებს ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ცვლილება განაპირობებს მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ ევროკავშირის ცვალებად დამოკიდებულებას.

**დამოკიდებული ცვლადი:** ევროკავშირის ცვალებადი დამოკიდებულება გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში

**დამოუკიდებელი ცვლადი:** ევროკავშირის დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები

თეორიულ ჩარჩოდ აღებულია ინტერგავერნმენტალიზმის თეორია. მართალია, ის რეგიონალური ინტეგრაციის ასახსნელად შეიქმნა, თუმცა თეორია ერგება ნაშრომის კვლევას და თეორიის პოსტულატები კარგად ხსნის ცვლადებს შორის კავშირს.

### **ძირითად ტერმინთა განმარტებანი:**

- **დიდი სახელმწიფო**

ტერმინ „დიდი სახელმწიფო“ საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს და იგი არ გულისხმობს მხოლოდ ტერიტორიულად ან მოსახლეობით დიდ სახელმწიფოს. დიდი სახელმწიფო არის ქვეყანა, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალი და პოლიტიკური გავლენა. ნაშრომში დიდ სახელმწიფოდ მოაზრებულია ევროკავშირის ის სახელმწიფოები, რომლებიც არიან უმსხვილესი კონტრიბუტორები ეკონომიკური თუ სამხედრო თვალსაზრისით და ამასთან, აქვთ პოლიტიკური გავლენა და პრესტიჟი.

- **თანამშრომლობა**

ტერმინი თანამშრომლობა ერთი შეხედვით ადვილი გასაგებია. ოქსფორდის ლექსიკონის მიხედვით, თანამშრომლობა არის ერთობლივი მუშაობის პროცესი, რომელიც მიმართულია საერთო დასასრულისკენ, ანუ ყველასთვის მისაღები შედეგისკენ. თუმცა, რეალურად, ტერმინი უფრო ფართო და სიღრმისეულ განმარტებას მოითხოვს, რადგან სხვადასხვა მეცნიერებებში მისი განსხვავებული გაგება არსებობს და სხვადასხვა დატვირთვით გამოიყენება. თანამშრომლობა, ესაა ორი ან მეტი აქტორის ახლო ურთიერთობა, რომელიც გარკვეულ მიზანს ისახავს და იმ დრომდე გრძელდება, ვიდრე ეს ორივე მხარისთვისაა მომგებიანი. ნაშრომში, ტერმინ თანამშრომლობაში იგულისხმება ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობა საერთაშორისო კრიზისების დარეგულირების საკითხში.

- **მხარდაჭერა**

მხარდაჭერა სხვადასხვა სახისაა. სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა შეიძლება იყოს ეკონომიკური, იქნება ეს ფულადი დახმარება, საკვებით დახმარება, სესხი, ჰუმანიტარული დახმარება თუ სხვა. თუმცა დახმარება არის სხვა სახისაც, მაგალითად პოლიტიკური, სამხედრო და სხვა.

- **სარგებელი**

ოქსფორდის ლექსიკონში სარგებელი განმარტებულია როგორც უპირატესობა, ან მოგება, რომელიც რაიმე ქცევის ან მოვლენის შედეგად მიიღება. სარგებელი შეიძლება იყოს მატერიალური, მაგალითად როგორცაა ეკონომიკური, ან არამატერიალური, როგორცაა გავლენა, პრესტიჟი, უსაფრთხოება და სხვა. არამატერიალური სარგებლის გაზომვა შეუძლებელია, ეს დამოკიდებულია თვითონ აქტორზე - რას თვლის ის სარგებლიანობად და როგორ შეაფასებს ამა თუ იმ სარგებელს.

- **ეროვნული ინტერესი**

ყველა სახელმწიფოს აქვს ეროვნული ინტერესები, რომელთა დაცვა მათთვის უმთავრესია. ძირითადი ეროვნული ინტერესებია: ეკონომიკური წინსვლა და მაქსიმალური სარგებლის მიღება, სუვერენიტეტის დაცვა, საერთაშორისო დონეზე ქვეყნის ინტერესების გატანა და სხვა. ეროვნული ინტერესები შეიძლება იცვლებოდეს

და ყველა ქვეყნისთვის ინდივიდუალურია. მაგალითად, დიდ სახელმწიფოებს, ძირითადი ეროვნული ინტერესების გარდა, სურთ პოლიტიკური გავლენისა და პრესტიჟის ამაღლება, საერთაშორისო მოვლენებში წამყვანი როლის შესრულება და სხვა.

### **კვლევის აქტუალურობა და მნიშვნელობა**

დღესდღეობით, როდესაც მთელს მსოფლიოში უამრავი მოუგვარებელი კონფლიქტია, საერთაშორისო საზოგადოების ჩართულობა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს კონფლიქტურ რეგიონებში, სამოქალაქო დაპირისპირებისას თუ გამწვავებული სამხედრო მდგომარეობის დროს. საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებმა შესაძლოა გადამწყვეტი გავლენა იქონიოს კრიზისების მოგვარებასა და სიტუაციის განეიტრალებაში.

გაეროს, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ყველაზე დიდი როლი ენიჭება, ვინაიდან მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება მისი პირდაპირი მოვალეობაა. დაარსებიდან დღემდე, მან უამრავი სამხედრო თუ სამოქალაქო მისია განახორციელა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა თუ ქვეყანაში. თუმცა, მას არ შესწევს საკმარისი ძალა და რესურსები მართო გაუმკლავდეს ყველა კრიზისს. ამიტომ, რეგიონულ ორგანიზაციებთან პარტნიორობა უმნიშვნელოვანესია მისიების წარმატებისთვის, ევროკავშირი კი ერთ-ერთ ძლიერ ძალად გვევლინება კრიზისების მოგვარების პროცესებში. სწორედ ამიტომ, მისი და გაეროს თანამშრომლობის დინამიკის კვლევა საკმაოდ საინტერესოა, ვინაიდან იმ ფაქტორების გამოკვლევა, რაც ხელს უშლის თანამშრომლობას, საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მათი თავიდან აცილების გზები, რაც თავის მხრივ, მომავალ თანამშრომლობაზე დადებითად აისახება.

კვლევის მიზანია, განვსაზღვრო, რა პირობებში თანამშრომლობს ევროკავშირი გაეროსთან და რა პირობებში ეუბნება უარს დახმარებაზე. გამოვიკვლევ, რა განაპირობებს ევროკავშირის დამოკიდებულების ცვლილებას. აღნიშნული პირობების პოვნა მნიშვნელოვანია რეგიონული ორგანიზაციების ჩართულობის პარამეტრების დასადგენად, რაც პრაქტიკაში დაგვეხმარება სწორი პოლიტიკური რეკომენდაციების

შემუშავებაში. მართალია, რამდენიმე მკვლევარს განხილული აქვს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა, გადაწყვეტილების მიღების პროცესები და ფაქტორები, რაც მასზე ახდენს გავლენას, აგრეთვე სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო მისიები და მათი გამომწვევი მიზეზები, თუმცა ჩემი კვლევა იქნება უფრო კომპლექსური: შევეცდები განვიხილო ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობის დინამიკა ამ სფეროში, გამოვიკვლიო ის პერიოდი როდესაც თანამშრომლობის ხარისხი მაღალი ან დაბალი იყო და გამომწვევი პირობები ავხსნა რელევანტური თეორიით.

### **კვლევის მეთოდოლოგია და ძირითადი მიმართულებები**

ნაშრომი ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდს, ვინაიდან საკითხი მოითხოვს კომპლექსურ კვლევას. თვისებრივი მეთოდი საშუალებას გვაძლევს საკითხს მრავალი მხრიდან მივუდგეთ და გამოვიყენოთ კვლევის მეთოდოლოგიის რამდენიმე სახე.

კვლევისას დავეყრდნობი *ქეის სთადის (Case Study)*, ერთმანეთს შევადარებ რამდენიმე სამშვიდობო ოპერაციას, სადაც კარგად ჩანს ევროკავშირისა და გაეროს შორის თანამშრომლობის ხარისხი. განვიხილავ პრესაში გამოქვეყნებულ მასალებს, ოფიციალურ სტატისტიკებს და სხვადასხვა მკვლევართა ნაშრომებს. არგუმენტაციის გასამყარებლად საჭიროა კონკრეტული და ზუსტი ფაქტები, რაც მხოლოდ მრავალი წყაროს ანალიზის შედეგადაა შესაძლებელი.

კვლევისას გამოვიყენებ მეორად წყაროებს, როგორებიცაა მკვლევართა ნაშრომები, ექსპერტთა ანალიზები და სხვა. თუმცა, ვცდები გამოვიყენო პირველადი წყაროებიც. ამისთვის მოვიძიებ უშუალოდ კომპეტენტური პირების საჯარო გამოსვლებს, სტატისტიკებსა თუ ევროკავშირის გადაწყვეტილებების სამუშაო დოკუმენტებს.

**კვლევის სირთულეები:** კვლევის ერთ-ერთი სირთულეა პირველადი წყაროების მოპოვება. საჯარო გამოსვლების ანალიზი, ზოგჯერ, რეალურ სურათს არ გვანახებს, ვინაიდან ქვეყნის ოფიციალური პირები ხშირად ამბობენ არა იმას რაც სურთ, არამედ იმას, რაც საჭიროა. შესაბამისად, მხოლოდ მათ განცხადებებზე დაყრდნობით დასკვნის გაკეთება არასწორია. მეორე სირთულეა ის, რომ საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით სამხედრო თუ სამოქალაქო მისიების განხორციელება, ქვეყნების უშუალო ლიდერების

კომპეტენციაა. გადაწყვეტილების მიღების პროცესი, უმეტესად, დახურულია და საზოგადოებისთვის მხოლოდ საბოლოო შედეგი ხდება ცნობილი. შესაბამისად რთულია რეზოლუციების სამუშაო ტექსტების მოძიება და თითოეული სახელმწიფოს წარმომადგენლის აზრის გაცნობა კონკრეტულ საკითხზე.

ეს ფაქტორი წარმოშობს სხვა სირთულესაც - ქვეყნები საკუთარ გადაწყვეტილებას ხშირად ნიღბავენ სხვადასხვა მიზეზების უკან, და რეალურ მოტივებს მალავენ. რთულია დაამტკიცო, ესა თუ ის გადაწყვეტილება ეროვნული ინტერესების გამო იქნა მიღებული თუ ევროკავშირის ინტერესებიდან. თუმცა, შევეცდები, ფაქტების ანალიზისა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, აგრეთვე, სხვა ავტორების შრომების დახმარებით, გავანალიზო და დავადგინო რეალური მოტივები.

კვლევისას გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რამას შეიძლება გავლენა მოახდინოს ევროკავშირის გაეროსთან თანამშრომლობისადმი დამოკიდებულების ცვლილებაზე. ჰიპოთეზის ჩამოსაყალიბებლად და იმის გასარკვევად, რომელი ფაქტორები თამაშობენ ყველაზე დიდ როლს, გამოვიყენებ „საკმარისი და საჭირო პირობების“ კონცეფციას. ამ კონცეფციას იყენებენ იმის დასადგენად, რა განსაზღვრული პირობა უნდა არსებობდეს, რომ დამოკიდებულმა ცვლადმა მიიღოს გარკვეული ღირებულება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა საჭირო თუ საკმარისი პირობები უნდა დადგეს, რომ მივიღოთ მოცემული შედეგი. რა არის საჭირო და საკმარისი პირობები? საჭირო პირობა - დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ დადგეს ესა თუ ის შედეგი. თუმცა, საჭირო პირობა არ ნიშნავს იმას, რომ იგი საკმარისია. მაგალითად, ჰაერი საჭიროა ადამიანის სიცოცხლისთვის, თუმცა არასაკმარისი. ჰაერის გარდა საჭიროა სხვა პირობებიც. შედეგის დასადგომად შესაძლოა რამდენიმე საჭირო პირობის ერთობლიობა იყოს აუცილებელი. საკმარისი პირობა არის დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც, მარტო, საკმარისია შედეგის დასადგომად (Swartz, 1997). ნაშრომში, ვეცდები გამოვიკვლიო, რომელი პირობებია საჭირო ევროკავშირის დამოკიდებულების შესაცვლელად ან არის თუ არა რომელიმე ერთი საკმარისი. აგრეთვე, რომელია აბსოლუტური ან შედარებითი მნიშვნელობის პირობა: თუ რამდენიმე პირობაა საჭირო, რომელია უფრო მნიშვნელოვანი? ეს მიდგომა დამეხმარება საჭირო ცვლადების პოვნასა და ჰიპოთეზის უკეთ ჩამოყალიბებაში.

**კვლევის მიმართულებები:** კვლევის პროცესში, გაანალიზებ ევროკავშირისა და გაეროს სამშვიდობო მისიებში თანამშრომლობის დინამიკას. განვიხილავ და ერთმანეთს შევადარებ რამდენიმე მისიას, რაც ყველაზე კარგად აჩვენებს თანამშრომლობის ხარისხს, კერძოდ ევროკავშირის ოპერაციებს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2003 და 2006 წლებში და 2008 წელს გაეროს მისიას იგივე ქვეყანაში, სადაც ევროკავშირმა უარი განაცხადა დახმარებაზე. აგრეთვე განვიხილავ ამავე წელს ევროკავშირის ოპერაციას ჩადსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკში და შევეცდები დავადგინო, რა იყო განმასხვავებელი ფაქტორები მათ შორის და რა შიდა თუ გარე პირობებმა იმოქმედა ევროკავშირის გადაწყვეტილებებზე. ზოგადად მიმოვიხილავ იმ მისიებს, რომლებიც არგუმენტების გასამყარებლად იქნება საჭირო.

ასევე, განვიხილავ, ევროკავშირის მიერ სამშვიდობო მისიების განხორციელების გადაწყვეტლებაში ჩართულ ორგანოებსა თუ ქვეყნებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ შედეგის დადგომისთვის, როგორებიცაა მაგალითად ევროკავშირის სამხედრო და სამოქალაქო კრიზისების მოგვარების კომიტეტები, წევრი სახელმწიფოების გავლენა და დიდი სახელმწიფოების როლი.

## **ნაშრომის სტრუქტურა**

ნაშრომი დაყოფილია სამ თავად. პირველი თავი ეთმობა ლიტერატურის მიმოხილვას. განხილულია საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურა და გაანალიზებულია სხვადასხვა ავტორის ხედვები და მოსაზრებები. აგრეთვე, ჩამოყალიბებულია თეორიული ჩარჩო და განხილულია მის ირგვლივ არსებული ლიტერატურა და გამოყოფილია თეორიის ძირითადი პოსტულატები.

მეორე თავი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს ევროკავშირისა და გაეროს შორის, მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული თანამშრომლობის დინამიკა. თავის პირველი ნაწილი ეთმობა ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების ისტორიას და ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობის პროცესის განხილვას. მეორე ნაწილში გაანალიზებულია ქეისები, სადაც ნათლად ჩანს

ამ თანამშრომლობის მიმდინარეობა და ევროკავშირის შიგნით გადაწყვეტლების მიღების პროცესი და ის ფაქტორები, რაც ამ პროცესზე ახდენს გავლენას.

მესამე თავის მიზანია მოახდინოს არგუმენტების ჩამოყალიბება და ცვლადების ოპერაციონალიზაცია. განხილულია თითოეული ფაქტორი, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დამოკიდებულ ცვლადზე. თავის მიზანია დაადგინოს, რომელია ამათგან საჭირო ან საკმარისი პირობა, რომელი ფაქტორებია ნაკლებ მნიშვნელოვანი და რომელი საჭირო ფაქტორებია ყველაზე მნიშვნელოვანი. თავის მეორე ნაწილში ხდება საკითხის განხილვა თეორიულ ჭრილში.

## თავი 1 : საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

ამ თავში განხილულია საკითხის გარშემო არსებული ძირითადი ლიტერატურის მიმოხილვა, რაც დაგვეხმარება საკითხის განსხვავებული ხედვიდან და პერპექტივებიდან დანახვაში, ვინაიდან სხვადასხვა ავტორებს განსხვავებული მოსაზრებანი გააჩნიათ. აგრეთვე, ლიტერატურის მიმოხილვა გვეხმარება დავინახოთ ის ნაკლოვანებები, რასაც მოცემული ლიტერატურა არ ან ვერ ხსნის და დაგვანახოს სივრცე, სადაც კვლევა მეტ კონტრიბუციას მოახდენს. თავის მეორე ნაწილში ჩამოყალიბებულია თეორიული ჩარჩო და მის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. თეორია გვეხმარება ჰიპოთეზაში ჩამოყალიბებულ ცვლადებს შორის კავშირის ახსნასა და ერთიან ჩარჩოში მოქცევაში.

### 1.1. საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის მიმოხილვა

ბევრი ავტორი განიხილავს ევროკავშირის როლს სამშვიდობო ოპერაციებში, მის თანამშრომლობას გაეროსთან და სხვა ორგანიზაციებთან და იმ ფაქტორებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე.

როი გინსბერგი, თავის ნაშრომში „CSDP-ის გავლენის გაზომვა და შეფასება: ევროკავშირისა და ნატოს ურთიერთობების ქეისი“, ხსნის, რატომ შეიძლება იყოს ევროკავშირი მნიშვნელოვანი კრიზისების მოგვარების პროცესში და რამ შეიძლება განაპირობოს ის ფაქტი, რომ მან, გაეროსგან თუ ნატოსგან დამოუკიდებლად განახორციელოს მისია. ზოგჯერ, რომელიმე ქვეყანას<sup>1</sup> თუ ორგანიზაციას, სურს თავისი წვლილი შეიტანოს მსოფლიო უსაფრთხოებასა და კრიზისების მოგვარებაში, ან სურს საკუთარ ტერიტორიაზე არსებული კრიზისული სიტუაციების დარეგულირება, თუმცა, სხვადასხვა მიზეზების გამო, თავს იკავებს ნატოსთან ან გაეროსთან თანამშრომლობისგან, მართო კი არ შესწევს ამის განხორციელების ძალა. ამ შემთხვევაში, ევროკავშირი აღიქმება საუკეთესო არჩევნად. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი

<sup>1</sup> იგულისხმება ევროკავშირის არაწევრი სახელმწიფოები



ისაა, რომ ევროკავშირი მიიჩნევა როგორც ნეიტრალური მხარე. ეს კარგად გამოჩნდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დროს, როდესაც ევროკავშირს სთხოვეს კონფლიქტის მხარეებს შორის მედიატორობა. აგრეთვე, ისრაელმა, პალესტინამ და ეგვიპტემ, მას სთხოვეს 2005 წელს ღაზა-ეგვიპტის საზღვარზე, რაფაჰთან მიმდინარე ოპერაციის დაკვირვება (Ginsberg, 2011).

ავტორი, იმის ასახსნელად, თუ რა განაპირობებს ევროკავშირის ჩართულობას ამა თუ იმ მისიაში, იყენებს ინტერესებსა და რაციონალურობაზე დაფუძნებულ არგუმენტებს. როდესაც ქვეყნების ეროვნულ ინტერესებშია საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის ჩარჩოში მოქმედება, მაშინ ისინი აკეთებენ ამას. როდესაც ეროვნული საგარეო პოლიტიკა ევროკავშირისას მიყვება, მაშინ ევროკავშირი ხდება პირდაპირი იარაღი ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად. ამის კარგი მაგალითია ოპერაცია „არტემისი“ - გაეროს მოთხოვნილი ოპერაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში. საფრანგეთს სურდა და მოიპოვა CSDP-ის სანქცია, განეხორციელებია მისია, რომელიც მას სურდა კონგოში გაეროს ჯარისკაცების როტაციის დასახმარებლად. ამ ოპერაციისას, საფრანგეთმა მიიღო სარგებელი; ერთის მხრივ, მან შეამცირა საკუთარი ტრანზაქციების საფასური, გაინაწილა რა ის ევროკავშირის დანარჩენ ქვეყნებთან, მეორეს მხრივ კი მიიღო ლეგიტიმაცია თავად ევროკავშირისაგან.

ზოგჯერ, თუ რაიმე ოპერაცია არა ცალკეული ქვეყნის ეროვნულ ინტერესში, არამედ ევროკავშირის ინტერესშია, ის შეიძლება არ დაემთხვეს ქვეყნების ინტერესს და ამ შემთხვევაში რთულია მისი განხორციელება - ეს კარგად გამოჩნდა 2008 წელს, როდესაც გერმანიამ და ბრიტანეთმა, რიგი მიზეზების გამო უარი განაცხადეს გაეროს თხოვნაზე, გაეგზავნათ მისია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი წარმომადგენელი და ბევრი წევრი ქვეყანა ლობირებდა ამ საკითხს. გერმანია შეეწინააღმდეგა გაეროს გენერალური მდივნის თხოვნას, მისი ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო გერმანიის პოლიტიკური კულტურა, რომელიც მიდრეკილია რისკების თავიდან აცილებისკენ, რაც გამოწვეული იყო აგრეთვე მისი ეჭვებით ევროკავშირის შეზღუდულ უნარებთან დაკავშირებით (იქვე.). მისი გათვლები იყო რაციონალური და ეროვნულ ინტერესებზე დაფუძნებული.

დევის კროსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტიტუტებს, განსაკუთრებით კი ისეთ ორგანოებს, რომელთაც კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებაში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ. სამხედრო თუ სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებისას ასეთი ორგანოებია ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი (EUMC) და სამოქალაქო კრიზისების მართვის კომიტეტი (Civcom), რომლებიც ანგარიშს წარუდგენენ პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტს (PSC).

ძალიან ბევრი მაგალითი და კომიტეტებს შორის ინტერაქციის ანალიზი აჩვენებს, თუ რა როლს თამაშობს ეს ორი ორგანო ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (ESDP) შედეგების ფორმირებაში. ორივე კომიტეტი ტრანსგავერნმენტალური ორგანოა, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ უსაფრთხოების საკითხებში გადაწყვეტილების მიღების დროს, განსაკუთრებით კი სამხედრო თუ სამოქალაქო ოპერაციების განხორციელებისას. თუ გავითვალისწინებთ, რომ EUMC საბჭოს უმაღლესი სამხედრო ორგანოა, რომელიც დაკომპლექტებულია წევრი სახელმწიფოების თავდაცვის სფეროს უმაღლესი წარმომადგენლებისგან და დიდი მხარდაჭერა აქვს ევროკავშირის სამხედრო პერსონალისგან, გავანალიზებთ, რა როლი შეიძლება ჰქონდეს მის გადაწყვეტილებას. Civcom არაა ასეთი მაღალი რანგის, თუმცა სამოქალაქო სფეროში საკმაოდ დიდ გამოწვევებს პასუხობს.

რა საკვირველია, წევრი სახელმწიფოები მართავენ ESDP-ს, ბრიუსელში საკითხის დადგომამდე, ისინი განიხილავენ მას საშინაო დონეზე და განსაზღვრავენ შედეგებს და ამის მიხედვით წყვეტენ კომიტეტის დღის წესრიგს, თუმცა, თავის მხრივ, კომიტეტები ქმნიან პროცესს, გამოდიან რა იმ შედეგების ჩარჩოებიდან, თუ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ დედაქალაქების მოლაპარაკებებსა და კომპრომისებზე იქნებოდა დამოკიდებული. კომიტეტები განსაზღვრავენ, შეიძლება თუ არა, ამა თუ იმ საკითხზე, მიღწეულ იქნას კონსენსუსი და თუ შეიძლება, რა სახის იქნება ის (Cross, 2010, გვ. 8).

ავტორი გამოყოფს რამდენიმე ასპექტს, რაც ხელს წყობს კომიტეტების მუშაობას და კომპრომისის მიღწევას. ესენია: საერთო კულტურა და ერთგულების გრძნობა, ე.წ. *esprit de corps*, ცოდნა და გამოცდილება, შეხვედრების სიხშირე და ხარისხი და საერთო ნორმების გაზიარება, დედაქალაქებთან ურთიერთობა და ეროვნული ინსტრუქციების ბუნება (იქვე; გვ.9).

EUMC კარგი მაგალითია მჭიდროდ შეკავშირებული კომიტეტისა, რომელსაც აქვს ფართოდ გაზიარებული საერთო კულტურა, ნორმები და ფასეულობები, წევრების პროფესიული ცოდნა და გამოცდილება და რაც მთავარია, ფორმალური თუ არაფორმალური შეხვედრები სიხშირე, რომელიც დარწმუნებისა და კომპრომისების პოვნის კარგ საშუალებას იძლევა. ასევე, მნიშვნელოვანია ის ნდობა, რაც ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ როგორც წარმომადგენლებს, აგრეთვე ქვეყნების ნდობა თავიანთ წარმომადგენლების მიმართ. EUMC-ის წევრებს აქვთ სულ მცირე 35 წლიანი სამხედრო სამსახურის გამოცდილება, მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და გავლილი აქვთ პროფესიული წვრთნები. ამიტომ მათთვის სირთულეს არ წარმოადგენს ამა თუ იმ სამხედრო საკითხზე საუკეთესო გადაწყვეტილების პოვნა და შემდეგ შეთანხმების მიღწევა. ეს ყველაფერი აადვილებს კომპრომისისკენ მიმავალ გზას, რაც კარგად გამოჩნდა EUNAVFOR Atalanta-სა და EUFOR Chad - ის მისიების დროს (იქვე; გვ.15).

EUMC ზოგჯერ ამა თუ იმ სამხედრო ოპერაციების წინააღმდეგ გამოდის. ამის კარგი მაგალითია 2008 წელს კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხედრო მისიის გაგზავნის თაობაზე გამართული დისკუსიები. წევრი სახელმწიფოების დიპლომატები და პოლიტიკოსები განიხილავდნენ გაეროს თხოვნას, გაეგზავნათ სამხედრო მისია, კივუს პროვინციაში, ლტოლვილების დასახმარებლად. თუმცა სამხედრო კომიტეტმა ეს ნაბიჯი ჩათვალა არაპრაქტიკულად. მიზეზად კი რამდენიმე საკითხი დასახელდა: სამხედრო ძალის ნაკლებობა - კომიტეტმა მიჩნია, რომ 1,500 ჯარისკაცისგან შემდგარი სამხედრო ძალა არ იქნებოდა საკმარისი; აგრეთვე, რეგიონი საკმაოდ დაშორებული იყო და გზების არქონა დამატებით პრობლემას ქმნიდა. საბოლოო ჯამში, სამხედრო წარმომადგენლებმა სამხედრო ძალის გამოყენების წინააღმდეგ მისცეს რჩევა, რამაც შემდგომში, პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე იქონია გავლენა (იქვე; გვ.16).

კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია EUMC-ს წარმომადგენელი ქვეყნების დარწმუნება და პოლიტიკური გადაწყვეტილების პროცესზე გავლენის მოხდენა, არის EUFOR Chad. ამ მისიის გარშემო ძირითადი ეჭვები გამოწვეული იყო იმით, რომ ბევრი ქვეყანა არ თვლიდა მას საკუთარ ცენტრალურ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ინტერესად. თუმცა, მეორე მხრივ, დიდი იყო ზეწოლა, რომ განეხორციელებინათ ჰუმანიტარული ინტერვენცია და დახმარებოდნენ ლტოლვილებს. სამხედრო

წარმომადგენლები ექვობდნენ, რამდენად წარატებული შეიძლება ყოფილიყო ოპერაცია. თუმცა, არსებული რეზერვები საკმარისი იქნებოდა, თუ ოპერაციას თავის თავზე აიღებდა გაერო, როგორც ეს დაგეგმილი იყო. საბოლოოდ საფრანგეთი დათანხმდა. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა EUMC-ის მიერ მიწოდებულმა ინფორმაციამ, რჩევებმა, წარმომადგენელ სახელმწიფოებამდე სწორი შეფასებების მიტანამ, დიალოგის მხარდაჭერამ თუ დაგეგმვის პროცესში დახმარებამ (იქვე; გვ.22).

რაც შეეხება Civcom-ს, ის არ შედგება ასეთი მაღალი რანგის წარმომადგენლებისგან, აგრეთვე, მასში წარმოდგენილნი არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. თუმცა, ამის მიუხედავად, იგი ეფექტურად ახერხებს დიალოგისთვის პლატფორმის შექმნას. აპელირებს რა წევრი ქვეყნების ლოიალურ გრძნობებზე ევროკავშირის მიმართ, ეფექტურ სივრცეს ტოვებს კომპრომისის მისაღწევად ამა თუ იმ საკითხზე და მნიშვნელოვანი როლი აქვს შედეგზე - თუ რა მოხდება ESDP-ის მისიების დროს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC), რის წინაშეც სამხედრო და სამოქალაქო კომიტეტები არიან პასუხისმგებელი, თითქმის ყოველთვის თანხმდება მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას; რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეთ მათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში (იქვე; გვ.25).

თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ავტორი აღნიშნავს, რომ უმთავრესი როლი ეროვნულ ინტერესებს ენიჭება. თუ წევრი ქვეყნებისთვის გარკვეულ საკითხს დიდი მინიშნელობა ენიჭება, მაშინ ეროვნული ინტერესები გადაწონის *esprit de corps*-ს (გვ.37).

სუზან პენსკა და როი გინსბერგი, წიგნში „ევროკავშირი გლობალურ უსაფრთხოებაში, პოლიტიკა და გავლენა“, საუბრობენ იმ მიზეზებზე, რამაც შეიძლება განაპირობოს ევროკავშირის მიერ სამშვიდობო ოპერაციაში ჩარევაზე უარის თქმა. ამის მიზეზი შეიძლება რამდენიმე იყოს. ზოგადად, გაეროსა და ევროკავშირს, მრავალი წარმატებული ერთობლივი მისია აქვთ განხორციელებული. წარმატებული ერთობლივი მისიების მიუხედავად, ყოველთვის არაა ადვილი ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობა. ზოგჯერ ისინი ვერ თანხმდებიან ერთობლივი სამხედრო ოპერაციების განხორციელებაზე. ევროკავშირი ყოველთვის არ გამოთქვამს მზადყოფნას

სამხედრო ძალით დაეხმაროს გაეროს. ამის ერთერთი მიზეზი, ავტორის აზრით, შეიძლება გახდეს კონფლიქტურ რეგიონში არსებული სიტუაცია ან ეჭვები გაეროს მისიათან დაკავშირებით. როდესაც, 2008 წელს, ევროკავშირმა უარი განცხადა გაეროს გენერალური მდივნის თხოვნაზე, კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაეგზავნა მისია, რათა დახმარებოდა გაეროს სამხედროებს, ეს ახსნილი იყო რამდენიმე მიზეზით. პირველ რიგში, სამხედრო კომიტეტის განცხადებით, გაეროს მისიის მანდატი და მიზნები არ იყო ნათელი; ასევე, არსებული სტრატეგია ევროკავშირის ძალების განთავსებასთან დაკავშირებით, საკმაოდ ბუნდოვანი იყო (Penksa & Ginsberg, 2012, გვ. 173-74). აგრეთვე, დიდი გავლენა აქვთ დიდ სახელმწიფოებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ქვეყანა თანახმა იყო ოპერაციის განხორციელებაზე (ბელგია, ფინეთი, ირლანდია, ნიდერლანდები, შვედეთი), სხვები უარს აცხადებდნენ; განსაკუთრებით წინააღმდეგნი იყვნენ დიდი ბრიტანეთი და გერმანია, რომლებიც არ იყვნენ დარწმუნებულნი მისიის მიზანსა და ეფექტურობაში. ამ უკანასკნელის განცხადებით, ოპერაცია საკმაოდ რისკიანი იყო, ამასთან, ნაკლები იყო შიდა პოლიტიკური ძალების მხადაჭერა. ბრიტანეთი კი, ითვალისწინებდა რა, რომ ავღანეთის ოპერაციების მხარდაჭერის პარალელურად, კონგოში სამხედრო ჯგუფების გადასხმა სახიფათო იყო, მოუწოდებდა გაეროს გაეფართოებინა MONUC-ს მისია, ევროკავშირის ახალი მისიის განთავსების ნაცვლად (იქვე).

ზოგიერთი ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნორმატიულ კონტექსტზე. სიმონ დიუკი, თავის ნაშრომში „კონსესუსის მიღწევა ESDP-ში: გაკვეთილები ოპერაცია არტემისიდან“, ხსნის იმ მიზეზებს, რატომ გადაწყვიტა ევროკავშირმა სამშვიდობო ოპერაციების განხორციელება, მაგალითად კი მოყვანილია პირველი სამხედრო მისია, რომელიც ევროკავშირმა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განახორციელა 2003 წელს. ავტორი განიხილავს, როგორ მიიღწევა ევროკავშირის შიგნით შეთანხმება ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სფეროში და როგორ დგება პრიორიტეტები. ქეისი ახსნილია ნორმატიული ინსტიტუციონალიზმის ჩარჩოში. ავტორი აღწერს, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესის ფორმირება ინსტიტუტების მიერ. ავტორის აზრით, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, თითოეული ქვეყნის აზრი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ინდივიდუალური

აქტორები აკეთებენ არჩევანს, მაგრამ ეს არჩევანი განპირობებულია ნორმატიული ფასეულობებით და „სწორი ქმედების“ ნორმატიული გაგებით. ავტორი უპირისპირდება რაციონალური არჩევანის თეორეტიკოსებს, მისი აზრით, დროთა განმავლობაში, ინსტიტუტების მიერ ნორმების მუდმივი ფორმირება განაპირობებს და გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც აქტორები იღებენ ამ ინსტიტუტების შიგნით. (Duke, 2008, გვ. 1)

ეს მოსაზრება დამტკიცებულია კონკრეტულ ქეისზე მორგებით - ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2003 წელს, ოპერაცია „არტემისი“. ავტორის თანახმად, გადაწყვეტილება, რომელიც ამ ოპერაციის ირგვლივ იქნა მიღებული, ფორმირებული იყო ნორმატიული ვალდებულებებით. იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა ქვეყნების მხრიდან განსხვავებული ინტერესები იყო ოპერაციის მიმართ და ასევე განსხვავება იყო კონტრიბუციის ხარისხს შორისაც თითოეული ქვეყნის მხრიდან, საერთო ჯამში, არსებული ფასეულობებისა და ნორმების გათვალისწინებით, მათ იგრძნეს პასუხისმგებლობა, ჩარეულიყვნენ სიტუაციის მოსაგვარებლად (იქვე, გვ.2).

გადაწყვეტილების მიღების ნორმატიული ჩარჩო რამდენიმე დონეზე შეგვიძლია ვიპოვოთ. ფართო გაგებით, ევროკავშირის ხელშეკრულება (TEU) ერთ-ერთ მიზნად გამოყოფს საერთო ფასეულობების, ფუნდამენტური ინტერესების და კავშირის ინტეგრაციის დაცვას გაეროს ქარტიის ინტერესებთან შესაბამისობაში. აგრეთვე, საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვასა და გაძლიერებას, ასევე გაეროს ქარტიის პრინციპების თანახმად (იქვე, გვ.4). ეს ფასეულობები და პასუხისმგებლობის გრძნობა, დაარსებს დღიდან ყალიბდებოდა და ძლიერდებოდა. ასევე, ნორმატიული ფასეულობების დაცვისა და წახალისების კარგი მაგალითია ის ფაქტი, რომ ისეთი სახელმწიფოები, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი, მოუწოდებდნენ ევროკავშირს შეესრულებინა საკუთარი როლი მთელს მსოფლიოში და დაეცვა ძირითადი ღირებულებები და ფასეულობები (იქვე, გვ.5).

როგორც ვხედავთ, ევროკავშირის ნორმატიული გადაწყვეტილებები მოქმედებს ორ დონეზე. ერთი, შედარებით ფართო, ევროკავშირის დოკუმენტებისა და ინსტიტუტების

დონეზე; მეორე კი ქვეყნების დონეზე, რომლებიც იცავენ ევროკავშირის ფასეულობებს მის ფარგლებს გარეთაც.

## 1.2. თეორიული ჩარჩო

თემაში გამოვიყენებ ინტერგავერნმენტალისტურ თეორიას. მართალია, თეორია განვითარდა რეგიონული ინტეგრაციის ასახსნელად, თუმცა საინტერესოა ასევე, ამ თეორიით აიხსნას ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესი და მისი თანამშრომლობა გაეროსთან სამშვიდობო მისიებში. ვინაიდან, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა ის სფეროა, სადაც სახელმწიფოებს მთავარი სიტყვა ეთქმით და სამშვიდობო მისიებში ჩარევის გადაწყვეტილება ევროპული საბჭოს პრივილეგიაა, გადაწყვეტილების მიღება ხდება სახელმწიფოებს შორის. სწორედ ამიტომ ავარჩიე ისეთი თეორია, რაც საშუალებას მომცემდა საკითხი განმეხილა ევროკავშირის დონიდან ცალკეული ქვეყნების ქმედებებზე დაყრდნობით.

ინტერგავერნმენტალისტური თეორია განავითარა სტენლი ჰოფმანმა. თეორია სახელმწიფო-ცენტრულია, ანუ უმნიშვნელოვანეს როლს სახელმწიფოებს ანიჭებს. თეორიის მიხედვით, სახელმწიფოები ყველზე ძლიერი აქტორები არიან და ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ერი-სახელმწიფო ესაა ერთსა და იმავე დროს სოციალური ორგანიზაციის ფორმა და საერთაშორისო არა-ინტეგრაციის ფაქტორი (Hoffmann, 1966, p. 862). დასავლეთ ევროპის მცდელობა, შეექმნათ ევროპა ერი-სახელმწიფოების საზღვრებს იქით, არ გამართლდა, ვინაიდან ნაციონალიზმის დათრგუნვა რთული აღმოჩნდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც, ერი-სახელმწიფო საერთაშორისო სისტემის მთავარ აქტორად რჩება. ჰოფმანი გვთავაზობს სამ მთავარ ფაქტორს - ერთი, რითიც ხასიათდება ყველა საერთაშორისო სისტემა და ორი, რომლითაც ხასიათდება არსებული სისტემა. პირველი, ყველა საერთაშორისო სისტემა მიყვება საკუთარ შიდა ლოგიკას, ითვალისწინებს რა საშინაო დეტერმინანტებს, გეო-ისტორიულ სიტუაციას, და საგარეო მიზნებს ერთეულებს შორის; ყოველი საერთაშორისო სისტემა, რომელიც მიდრეკილია ფრაგმენტაციისკენ და

უთანასწორობისკენ, იწვევს სახელმწიფოთა არაერთგვაროვნებას (იქვე, გვ. 864). კრიტიკოსები გვთავაზობენ არა ერი-სახელმწიფოებად დაყოფას, არამედ რეგიონებად ან ბლოკებად დაყოფას, რომელშიც ქვეყნები იქნებიან გაერთიანებული. თუმცა, ჰოფმანის პასუხი კრიტიკაზე ორი მთავარი მახასიათებლით აიხსება. პირველი, ესაა ეროვნული თვითგამორკვევა, რომელიც ყოველგვარი ბლოკების თუ იდეოლოგიის საზღვრებს სცილდება და რომელიც ქმნის ბაზისს საერთაშორისო სისტემის „ერთადერთი უნივერსალური აქტორის“ - გაეროს ჩამოყალიბებისთვის. და მეორე, ახლად-წარმოქმნილი სახელმწიფოები, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს ნაციონალიზმის აღმავლობის შედეგად, და რომლებიც ნაკლებ მოწადინებულნი არიან დათმონ ეს დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, რაც ასე წვალებით მოიპოვეს (იქვე..). შედეგად, სისტემა არის ან ნამდვილად საერთაშორისო - გლობალური სისტემა, სადაც რეგიონალურ სუბსისტემებს შეზღუდული ავტონომიები აქვთ, ან ადგილობრივი - სახელმწიფოები ფიქრობენ არა რეგიონალურ პრობლემებზე, არამედ საკუთარ, ლოკალურ ან სრულიად გლობალურ პრობლემებზე. ყველა ქვეყანა საკუთარ ორბიტაზე მოძრაობს, საიდანაც მათი გადახვევა ძალიან რთულია. რეგიონალური ორგანიზაციის ასახსნელად ჰოფმანი იყენებს სახლის მტაფორას - საერთო რეგიონი არის სახლი, სადაც მაცხოვრებლები, იგივე სახელმწიფოები, ცხოვრობენ ერთად, თუმცა აქვთ განსხვავებული წარსული, განსხვავებული ხასიათი, ცხოვრობენ სახლის სხვადასხვა ნაწილში და განსხვავებულად აღიქვამენ გარეთ, ანუ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს და მათი რეაქციებიც სხვადასხვაგვარია. რაც შეეხება მათ ერთმანეთთან ურთიერთობას, ის დაქვემდებარებულია გარე სამყაროს განსხვავებულ აღქმებზე და საბოლოოდ „რეგიონული სუბსისტემა“ ხდება ფსონი წევრი სახელმწიფოების მთლიანი სისტემის შეჯბრში (იქვე, გვ. 965). თუმცა, სახლი შეიძლება მყუდრო აღმოჩნდეს, თუ ეს გარედან მომდინარე საფრთხისგან თავშესაფარია. აქ ჩნდება მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი - სახელმწიფოები თანხმდებიან ისეთ სისტემაში ყოფნას, რომელიც არ ზღუდავს მათ განსხვავებულობას (იქვე).

ავტორი გვთავაზობს ერი-სახელმწიფოს სამ მთავარ მახასიათებელს, რაც განაპრობებს მათ განსხვავებულობას და რაც კარგად ხსნის ინტერაქციას მათსა და საერთაშორისო სისტემას შორის. პირველი ესაა ეროვნული თვითშეგნება - ერთსულოვნებისა და



განსხვავებულობის გრძნობა. მეორე, ესაა ეროვნული სიტუაცია - ერის ხასიათი და მემკვიდრეობა, რაც განსაზღვრავს სახელმწიფოს ადგილსა და პოზიციას სისტემაში და მოქმედებს ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე და მესამე, ნაციონალიზმი იმ მრავალი გაგებითა და გზით, რითიც პოლიტიკოსები თუ ელიტები ინტერპრეტაციას უკეთებენ ზემოთ ხსენებულ ეროვნულ სიტუაციას სხვადასხვა პოლიტიკის გასატარებლად (იქვე, გვ. 867-868).

თუ სახელმწიფოები მიდრეკილნი არიან განსხვავებულობისკენ და უთანასწორობისკენ, როგორ აიხსნება ევროპული ინტეგრაცია? ჰოფმანი, ფუნქციონალისტებისგან განსხვავებით, არ ეთანხმება სუპრაციონალისტურ იდეებს, ვინაიდან იგი ზღუდავს სახელმწიფოთა თავისუფლებას და ნაკლებ საშუალებას უტოვებს მათ, დაირჩინონ უკან დასახევი გზა. ავტორის აზრით, ინტეგრაციის ლოგიკა მდგომარეობს სახელმწიფოთა ინტერესებში - ისინი თანხმდებიან ინტეგრაციას, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ არსებულ წევრ სახელმწიფოებთან ერთად ერთ კავშირში ყოფნა მომგებიანი იქნება მათი ქვეყნის ინტერესებისთვის, როგორც მაგალითად „ბლენდერში სხვადასხვა გემოს ხილის არევამ შესაძლოა გემრიელი წვენი მოგვცეს“ (იქვე, გვ.882). ფუნქციონალური ინტეგრაცია მაშინ მუშაობს, თუ ამ ინტეგრაციას მოაქვს მუდმივი მოგება, რომელიც უსწრებს დანაკარგს, ეს კარგად მუშაობს ეკონომიკური ინტეგრაციის დროს და არა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას - ე.წ. „მაღალი პოლიტიკა“ (იქვე). გადაწყვეტილებების მიღება თავდაცვისა თუ უსაფრთხოების საკითხებზე ყოველთვის რთულია, ვინაიდან კონსესუსი ვერ მიიღწევა, სანამ ამ გადაწყვეტილების მიზნები და შედეგები ნათელი არ იქნება ყველასთვის (იქვე, გვ. 883).

ჰოფმანი ევროპას ადარებს მანქანას, რომელიც მუშაობს მანამ, სანამ ქვეყნები მართავენ მას და სანამ მას მოგება მოაქვს. კავშირის შექმნის დასაწყისში, ეკონომიკური ინტეგრაცია სწრაფად მიმდინარეობდა, ვინაიდან იგი ეკონომიკურ მიზნებს ემსახურებოდა: მანქანა მუშაობდა მანამდე, სანამ ეკონომიკური მოგება იზრდებოდა (იქვე, გვ. 886).

ჰოფმანი გამოყოფს რამდენიმე პირობას, რისი თანხვედრაც საჭიროა, რათა განვითარდეს ინტეგრაცია, რაც მოხდა ევოკავშირის შემთხვევაში.

ა. აქტორები უნდა იყვნენ პოლიტიკური ერთეულები, რომლებშიც პლურალისტური სოციალური სტრუქტურა წმოდგენილია ელიტებითა და პოლიტიკოსებით, რომლებსაც სურთ ინტეგრაცია (იქვე, გვ.904).

ბ. ერთეულებს უნდა ჰქონდეთ საერთო მიზანი და სურდეს მსგავსი გზით სიარული - მზად უნდა იყვნენ იარონ საერთო მიმართულებით, იმის მიუხედავად, თუ როგორ პოლიტიკას ატარებდნენ კავშირში შესვლამდე.

ლიბერალური ინტერგავერნმენტალისტული თეორია განავითარა ენდრიუ მორავჩიკმა, რომლის მიხედვით, სახელმწიფოები არიან რაციონალური აქტორები, და წინ აყენებენ ეროვნულ ინტერესებს. ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი ხსნის ე.წ. „რაციონალურ ინსტიტუციონალიზმს“, გვთავაზობს სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის ახსნას. კლასიკური ინტერგავერნმენტალიზმისგან განსხვავებით, მორავჩიკის მიერ შემოთავაზებული თეორია ცდილობს უფრო მეტი სიზუსტით ახსნას ქვეყნებს შორის ინტერაქციის წარმართველი ფაქტორები, რომლებც ემპირიულად შეილება „დაიტესტოს“ (Moravcsik & Schimmelfennig, 2009, გვ. 68). ინტეგრაციის ასახსნელად ერთი ფაქტორი არაა საკმარისი, საჭიროა რამდენიმე ფაქტორის ერთობლივი ანალიზი. უპირატესობები (პრეფერენციების მინიჭება), ვაჭრობა და მოლაპარაკებები და ინსტიტუტები - არის საჭირო ფაქტორები იმისა, რომ აიხსნას ინტეგრაციის პროცესი. აქ ორი მნიშვნელოვანი საკითხია გასათვალისწინებელი. პირველი, სახელმწიფოები არიან მთავარი აქტორები, იმის მიუხედავად ისინი რეგიონალური ორგანიზაციის წევრები არიან თუ არა. სახელმწიფოები თავიანთ მიზნებს აღწევენ მთავრობათშორისი მოლაპარაკებებითა და ვაჭრობით, და არა ცენტრალური ავტორიტეტის მიერ იძულებით გატარებული პოლიტიკური გადაწყვეტილებით (იქვე, გვ.68). ევროკავშირის წევრი ქვეყნები არიან „ხელშეკრულების პატრონები“ და კვლავაც აქვთ პოლიტიკური ლეგიტიმაცია, იმოქმედონ დამოუკიდებლად.

მეორე, სახელმწიფოები არიან რაციონალურები. აქტორები ითვლიან ყველა შესაძლო ქმედების შედეგებს და ირჩევენ იმას, რაც მეტად მომგებიანია მათთვის. კოლექტიური შედეგები მიიღება ინდივიდუალური ქმედებებით, რომელიც დაფუძნებულია დარწმუნების მექანიზმზე წარმოაჩინოს ამ შედეგის უპირატესობანი.

თანამშრომლობაზე შეთანხმება ახსნილია როგორც კოლექტიური შეთანხმება რომელიც არის დამოუკიდებელი, რაციონალური აქტორის არჩევანი და რომელიც მიღწეულია ინტერგავერნმენტალური მოლაპარაკებებით (იქვე). როგორ ხდება ეს პროცესი? პირველ რიგში, ქვეყნები განსაზღვრავენ რა არის პრიორიტეტული. თავის მხრივ ეროვნულ პრეფერენციებს მართავს ზოგადი გეოპოლიტიკური იდეები და ინტერესები ან უფრო ვიწრო, ეროვნული ინტერესები. მეორე, აქტორები იწყებენ ვაჭრობას შედეგის მისაღწევად. მოლაპარაკებებისა და ვაჭრობის შედეგები ფორმირდება ინტერგავერნმენტალური ვაჭრობის შედეგად, რომელიც დაფუძნებულია ასიმეტრიულ ურთიერთდამოკიდებულებაზე. და მესამე, აქტორები ქმნიან ინსტიტუტებს, რათა შეინარჩუნონ მოლაპარაკებებით მიღწეული შედეგი (იქვე, გვ.69). ასე რომ, ევროპული ინტეგრაცია შეგვიძლია გავიგოთ როგორც რაციონალური არჩევანი, რომელიც მიღებულ იქნა რაციონალური აქტორების მიერ და რომელზეც გავლენას ახდენდა სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესი.

ლიბერალური ინტერგავერნმენტალისტური თეორია ამბობს, რომ თანამშრომლობა გაპირობებულია ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესებით. ხოლო მოლაპარაკებების დამახასიათებელი ფაქტორი ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ განსაზღვრული შეთანხმებებიდან მიღებული მოგება სახელმწიფოებზე არათანაბრად ნაწილდება (იქვე, გვ.71).

ბოლო წლებში, წინ წამოიწია ე.წ ახალმა ინტერგავერნმენტალისტურმა თეორიამ, რომელიც ხსნის ევროპულ ინტეგრაციას მასტრიხტის ხელშეკრულების შემდეგ. ერთერთი მნიშვნელოვანი ავტორია უვე პიუტერი, რომელიც სხვა თანაავტორებთან ერთად ყურადღებას ამახვილებს ისეთი ინსტიტუტების მნიშვნელობაზე, რომლებიც ამ ხელშეკრულების შემდეგ წარმოიშვა. მოლაპარაკებებმა და კონსესუსის ძიებამ ახალი ფორმა მიიღო. ტრადიციული სუპრანაციონალური ინსტიტუტების ნაცვლად, როგორებიც იყო კომისია თუ სასამართლო, ავტონომიურმა ორგანოებმა თავის თავზე აიღეს გარკვეული ძალაუფლება. ასეთია მაგალითად ევროპის საგარეო ქმედების სამსახური (EEAS), რომელიც აქტიურადაა ჩართული მოლაპარაკებების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში (Puetter, Bickerton, & Hodson, 2015, გვ. 26). სახელმწიფოთაშორისი მოლაპარაკებების პროცესი კონკრეტულ საკითხებზე, ასეთი

ავტონომიური ორგანოების ფარგლებში ხდება, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბოლოო შედეგზე. თუმცა, სახელმწიფოებს და მთავრობებს შორის საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება მინისტრთა ან ევროპულ საბჭოზე. ავტორები გამოყოფენ რამდენიმე ჰიპოთეზას, რითიც ხასიათდება ახალი ინტერგავერნმენტალიზმი. მათ შორის მნიშვნელოვანია რამდენიმე ფაქტორი, ის, რომ კონსესუსი მიიღწევა მოლაპარაკებებითა და თათბირით, ქვეყნები ცდილობენ მოლაპარაკებების გზით დაიყოლიონ სხვა ქვეყნები მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად (იქვე, გვ.60). ეს მოვლენა „სათათბირო ინტერგავერნმენტალიზმის“ სახელითაა ცნობილი. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სპეციალურ კომიტეტებში, როგორებიცაა მაგალითად PSC, EUMC თუ სხვა. გადაწყვეტილებების მიღების პასუხისმგებლობა სახელმწიფოებს ენიჭებათ და ისინი უფრო და უფრო ჩართულნი ხდებიან ყოველდღიურ მოლაპარაკებებში (იქვე, გვ.61).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჰიპოთეზა ეხება კავშირის და ინტეგრაციის ხასიათს - ევროკავშირი სახელმწიფოთა უთანასწორობაა, ვინაიდან რამდენიმე ძლიერ სახელმწიფოს უფრო დიდი გავლენა აქვს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ვიდრე დანარცენებს (იქვე, გვ.69).

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ავტორს განსხვავებული ხედვა და მოსაზრება აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც გვეხმარება ჩამოვაცალიბოთ განსხვავებული ფაქტორები. რაც შეეხება თეორიას, ინტერგავერნმენტალიზმი რამდენიმე მიმართულებით ვითარდება: კლასიკური, ლიბერალური და ახალი ინტერგავერნმენტალიზმი. თეორია კარგად ხსნის სახელმწიფოს როლსა და ადგილს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გვანახებს ეკონომიკური თუ პოლიტიკური ინტერესების მნიშვნელობას.

## **თავი 2: ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან კრიზისების დარეგულირების საკითხებში**

ამ თავში განხილულია ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ჩამოყალიბების ისტორია და ის ორგანოები, რომლებიც CFSP-ის განხორციელების პროცესში არიან ჩართულნი. თავი მოიცავს საერთაშორისო კრიზისების დარეგულირების საკითხებში ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობის მოკლე მიმოხილვას. თავის ბოლო ნაწილში განხილულია რამდენიმე ქეისი, სადაც კარგად ჩანს ევროკავშირის დამოკიდებულება გაეროსთან სამშვიდობო მისიებში ჩართვასთან დაკავშირებით.

### **2.1. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება**

#### **2.1.1 საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბების ისტორია**

პოლიტიკური ერთობის შექმნის სურვილი ევროპული საზოგადოების შექმნისთანავე შეინიშნება. ჯერ კიდევ 1950 წელს, საფრანგეთის მიერ, შემოთავაზებული იქნა საერთო ევროპული არმიის შექმნის იდეა, რომელის პლევენის გეგმის სახელითაა ცნობილი, რომლის შედეგად ჩამოყალიბდა ევროპის თავდაცვის გაერთიანება (EDC) (კაპანაძე, 2006). 1970 წელს, „დავინიონის მოხსენების“ საფუძველზე, ლუქსემბურგის სამიტზე, შეიქმნა ევროპის პოლიტიკური თანამშრომლობა (EPC), რომელიც მოგვიანებით, ფორმალურად იქნა შეყვანილი საერთო ევროპულ აქტში. EPC-ის საქმიანობა უფრო კოორდინირებული გახდა 1974 წელს, ევროპული საბჭოს შექმნის შედეგად, რადგან, სახელმწიფოებსა და ქვეყნის მეთაურებს, მიეცათ განსაზღვრული როლი, რომელიც ითვალისწინებდა კავშირისთვის საერთო პოლიტიკური მიმართულებების მიცემას (იქვე).

თუმცა, რეალურად, მნიშვნელოვანი ნაბიჯები ამ მხრივ არ გადადგმულა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის (CFSP) ოფიციალურ ჩამოყალიბებამდე,

რომლიც მასტრიხტის ხელშეკრულებით დაარსდა. 1993 წელს, ევროკავშირის ხელშეკრულებამ (TEU) დაარსა CFSP, რომლის მიზანი იყო მშვიდობის შენარჩუნება, საერთაშორისო უსაფრთხოების გაძლიერება, საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა და დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა. ხელშეკრულებამ წარმოადგინა სამ-სვეტიანი სისტემა, სადაც CFSP მეორე სვეტად დაფუძნდა, რომლის ქვეშ გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდა ინტერგავერნმენტალური შეთანხმებებისა და პროცედურების შედეგად (Foreign policy: aims, instruments and achievements).

1997 წელს, ამსტერდამის ხელშეკრულებამ უზრუნველყო გადაწყვეტილებების მიღების უფრო მოქნილი სისტემა, შემოიღო რა კონსტრუქციული თავშეკავებისა და კვალიფიციური უმრავლესობით ხმის მიცემის სისტემა. 1999 წელს, ევროპულმა საბჭომ ჩამოაყალიბა უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქცია. მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო, 2001 წელს პოლიტიკური და უსაფრთხოების კომიტეტის ჩამოყალიბება, რომელსაც, მოგვიანებით, ნიცის ხელშეკრულების შედეგად, მიენიჭა კრიზისების დარეგულირებაში პოლიტიკური და სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების მანდატი. 2007 წლის ლისაბონის ხელშეკრულებამ ბევრი რამ შეცვალა და გააუმჯობესა. უმაღლესი წარმომადგენლის ფუნქციების შეცვლით უფრო მოსახერხებელი გახდა ინსტიტუტებს შორის ურთიერთკავშირის გაღრმავება. ხელშეკრულებით შეიქმნა საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკა (CSDP), რომელიც CFSP-ის ნაწილს წარმოადგენს. აგრეთვე, შეიქმნა ევროკავშირის საგარეო ქმედების სამსახური (EEAS), რომელის საერთაშორისო კრიზისების დარეგულირებაში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს (იქვე).

განსაკუთრებული როლი შეასრულა ევროპულმა საბჭომ. სენტ მალოს ევროპულ საბჭოზე, რომელიც 1998 წელს შედგა და რომელიც იუგოსლავიის სისხლიან მოვლენებს ეხმაურებოდა, ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა, ტონი ბლერმა წამოაყენა წინადადება, რომ დრო იყო ევროკავშირს ეზრუნა საკუთარი სამხედრო ძალების შექმნასა და განვითარებაზე. საბჭოს უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა, განეხორციელებინა ის მიზნები, რომლებსაც CFSP-ის შექმნა ემსახურებოდა, ამისთვის კი ევროკავშირს უნდა ჰქონოდა ავტონომიური მოქმედების უნარი, რისთვისაც საჭირო იყო სამხედრო

ძალის ქონა. კიოლნის ევროპულ საბჭოზე, 1999 წელს, უკვე ფორმალურად დადასტურდა ყველა წევრი ქვეყნის სურვილი, შეექმნათ საერთო თავდაცვა და ინფრასტრუქტურა ( ევროპის სამხედრო კომიტეტი, მაგალითად). იმავე წელს, ჰელსინკის ევროპულ საბჭოზე, დასახულ იქნა ე.წ. „მთავარი ამოცანა“, რომლის მიხედვით, უნდა შექმნილიყო სწრაფი რეაგირების ჯარი. 2000 წელს, სანდტა მარია დე ფეირას საბჭოზე, ქვეყნები ოფიციალურად დათანხმდნენ სწრაფი რეაგირების ჯარის შექმნას და აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ 2003 წლისთვის შეეძლებოდათ 5000-მდე პოლიციელის კრიზისულ სიტუაციებში განთავსება (კაპანაძე, 2006).

## 2.1.2. საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოებაში ჩართული

### ინსტიტუტები

მთავარი ინსტიტუტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს CFSP-ს საკითხებზე, არის ევროპული საბჭო. საბჭო განსაზღვრავს CFSP-ის ძირითად მიმართულებებსა და პრინციპებს და ადგენს საერთო სტრატეგიებს. შეთანხმებები, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკაზე, წმინდად ინტერგავერნმენტალისტურია. გადაწყვეტილებები მიიღება მთავრობების დონეზე, ამიტომ მხოლოდ ევროპულ საბჭოს შეუძლია მნიშვნელოვან საკითხებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

მნიშვნელოვანი ფიგურაა უმაღლესი წარმომადგენელი, მისი როლია გახადოს CFSP უფრო თანამიმდევრული, ასევე ხელს უწყობს ინსტიტუტებს შორის კავშირის გაღრმავებას და კოორდინაციას (Foreign & Security Policy).

მინისტრთა საბჭო CFSP-ის წარმოების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე ორგანოს საშუალებით ფუნქციონირებს. უმთავრესია გენერალური და საგარეო ურთიერთობების საბჭო, რომელიც დიდ როლს ასრულებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში - იგი განსაზღვრავს საერთო პოზიციებსა და საერთო ქმედებებს.

ასევე მნიშვნელოვანი ორგანოა პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი (PSC), რომელიც მაღალი რანგის ელჩებისა და ეროვნული ადმინისტრაციების წარმომადგენლებისგან შედგება და რომლის მოვალეობაა თვალი ადევნოს CFSP-ის

საკითხებში საერთაშორისო არენაზე მიმდინარე მოვლენებსა და სიტუაციას, განსაზღვროს მისი პოლიტიკა და მისცეს პოლიტიკური მიმართულება სამხედრო შესაძლებლობების განვითარებასა და კრიზისულ სიტუაციებთან გამკლავებას. წარმომადგენლები ხვდებიან კვირაში ერთხელ, ან საჭიროებისამებრ. PSC განიხილავს ყველა საკითხს, სანამ ის საგარეო მინისტრების დონეზე გავა. PSC-სა და გენერალურ საგარეო ურთიერთობების საბჭოს შორის ინფორმაციის გამტარია მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტი (COREPER).

უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის საკითხებში, მნიშვნელოვანი ორგანოა სამხედრო კომიტეტი (EUMC), რომელიც შედგება თავდაცვის მინისტრებისგან, რომლებიც, თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, წარმოდგენილნი არიან თავიანთი წარმომადგენლებით - მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებით. კომიტეტი იძლევა რჩევებს სამხედრო და პოლიტიკურ საკითხებზე და მნიშვნელოვანი როლი აქვს კრიზისების მოგვარების პროცესში. EUMC-ს დაქვემდებარებაში მუშაობს სამხედრო შტაბი და ახდენს სიტუაციის ექსპერტიზასა და სტრატეგიულ დაგეგმვას.

ევროპარლამენტსა და ევროკომისიას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ძალაუფლება თითქმის არ გააჩნიათ, ვინაიდან CFSP-ს საკითხები ინტერგავერნმენტალურ, და არა სუპარანაციონალურ, დონეზე წყდება.

ევროკავშირის საგარეო ქმედების სამსახური (EEAS) არის ევროკავშირის დიპლომატიური სერვისი. ის ეხმარება უმაღლეს წარმომადგენელს საგარეო საქმეებისა და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებაში. იგი, სხვადასხვა ქვეყანაში, წარმოდგენილია ევროკავშირის მომსახურე პერსონალით, დიპლომატებითა თუ ადგილობრივი სტაფით. EEAS პასუხისმგებელია პოლიტიკის ყველა იმ მიმართულების განხორციელებასა და თვალყურის დევნებაზე, რასაც ევროკავშირი მასპინძელ ქვეყანაში ატარებს, იქნება ეს სამოქალაქო თუ სამხედრო მისია (European Union External Action ).



## 2.2. საერთაშორისო კრიზისების დარეგულირების საკითხებში ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობის განვითარება

ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობა, საერთაშორისო კრიზისების დარეგულირების საკითხებში იწყება 1990-იანი წლების ბოლოდან, როდესაც მომრავლებული საერთაშორისო კრიზისების ფონზე, გაერო ვეღარ უძკლავდებოდა მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ოპერაციებს, ევროკავშირმა კი, თავის მხრივ, დაიწყო საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩამოყალიბება და სწრაფი რეაგირების ძალების შექმნა, ვინაიდან სურდა საკუთარი წვლილი შეეტანა მსოფლიო უსაფრთხოებაში. გაეროს ქარტიის VIII თავის მიხედვით, უფლება აქვს სთხოვოს რეგიონალურ ორგანიზაციას, დაეხმაროს კრიზისების მოგვარებაში (CHARTER OF THE UNITED NATIONS, 1945). ამ პერიოდიდან, ევროკავშირი ხდება ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი.

ორმხრივი ინტერესებიდან გამომდინარე, მათ დაიწყეს თავიანთი თანამშრომლობის ფორმალიზება. 2001 წელს, ევროპული საბჭოს ინიციატივით, დაარსდა „ინტენსიური თანამშრომლობის პლატფორმა“, რომელმაც განსაზღვა თანამშრომლობის ოთხი მიმართულება: შეხვედრები გაეროს გენერალურ მდივანსა და ევროკავშირის მინისტრიალის დონეზე; შეხვედრები ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელსა და გენერალურ მდივანს შორის; PSC -ის შეხვედრები გენერალური მდივნის მოადგილეებთან და საბჭოსა და კომისიის სამდივნოების შეხვედრები გაეროს სამდივნოსთან (Major, 2008, p. 10). თუმცა, სხვა მნიშვნელოვანი ნაბიჯები არ გადადგმულა 2003 წლამდე.

ევროკავშირისა და გაეროს შორის რეალური პარტნიორობა დაიწყო 2003 წელს, როდესაც მათ შეიმუშავეს პირველი ერთობლივი დეკლარაცია კრიზისების მოგვარებაში (Círlig, 2015, გვ. 6). ამის შემდეგ განახორციელეს ისეთი ერთობლივი ოპერაციები, როგორებიცაა საპოლიციო მისია ბოსნია-ჰერცეგოვინაში და პირველი სამხედრო მისია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში - ოპერაცია „არტემისი“.

2003 წლიდან დღემდე, ევროკავშირმა და გაერომ განახორციელეს ერთობლივი მისიები როგორც აფრიკის ქვეყნებში, ისე ავღანეთში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებსა თუ სხვა რეგიონებში. მათ გააძლიერეს სტრატეგიული პარტნიორობა სამშვიდობო პროცესებსა

და კრიზისების მოგვარებაში. ისინი მუდმივად თანამშრომლობენ როგორც სტრატეგიულ და ოპერაციულ დონეზე, აგრეთვე კონსულტაციებისა და კოორდინირების მექანიზმების დაარსებით. ევროპარლამენტი მხარს უჭერს ევროკავშირის თანამშრომლობას გაეროსთან, რათა გააძლიერონ სამშვიდობო პროცესები, განსაკუთრებით კი რეგიონული ორგანიზაციების დახმარებით, როგორებიცაა მაგალითად აფრიკის კავშირი. ამის მიზეზი არის ის, რომ კონფლიქტების მოგვარებაში, უდიდესი როლი, სწორედ რეგონალურ ორგანიზაციას უკავია, ვინაიდან იგი ყველაზე ახლოა ცხელ წერტილთან და გაცილებით კარგად იცნობს მონაწილე მხარეებს. როგორც, 2002 წელს, გაეროს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა, კოფი ანანმა განაცხადა, რეგიონული უსარფთხოების ორგანიზაციები არასოდეს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ახლაა (Bellamy & Williams , 2010, p. 301).

2003 წლის მერე, მრავალი გარემო თუ შიდა პირობები შეიცვალა, რამაც ძველი დეკლარაციის გადახედვის საჭიროება დააყენა. შედეგად, 2007 წელს, გაფორმდა ახალი ერთობლივი დეკლარაცია კრიზისების მოგვარებაში ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობის შესახებ. დეკლარაცია აღიარებდა მიღწეულ პროგრესს და ხაზს უსვამდა პრაქტიკული თანამშრომლობის მნიშვნელობას (Joint Statement on UN-EU cooperation in Crisis Management , 2007).

თუმცა გამოწვევები ბევრია, ძირითადად პრაქტიკული თანამშრომლობის საკითხებში, როგორებიცაა ერთობლივი სტრატეგიული დაგეგმარება, ძალის განაწილება, კოორდინაცია ანალიტიკურ დონეზე და სხვა. არ არსებობს პოლიტიკური კონსენსი ევროკავშირის ერთიანი სისტემის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს გაეროს მხარდაჭერას წევრი ქვეყნების შესაძლებლობებით - ე.წ. „clearing house“-ის პრინციპი - რაც გულისხმობს ინფორმაციის გადაცემას, თუ რა სამოქალაქო თუ სამხედრო ძალები და შესაძლებლობები შეიძლება იქნას განთავსებული გაეროს დასახმარებლად, და რაც ერთობლივი დეკლარაციის ერთ-ერთი პუნქტი იყო. აგრეთვე, ევროპარლამენტის კვლევითი სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში ნათქვამია, რომ 2014 წელს ევროკავშირმა გადაწყვიტა არ მიეწოდებინა გაეროსთვის სია, სადაც წევრი ქვეყნების შესაძლებლობები იყო მითითებული, რომლითაც მას შეეძლო სარგებლობა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო წევრი ქვეყნების პრეფერენციებით - მათ ერთობლივი

თანამშრომლობის ნაცვლად, არჩიეს გაეროსთან ორმხრივი ურთიერთობების დაყარება (Cirlig C. , 2015, p. 8). თუმცა, არის მცდელობა, რომ დაარსდეს ახალი, და გაუმჯობესდეს არსებული ერთობლივი კოორდინირების სისტემა, რათა მოხდეს თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება.

2003 წლიდან დღემდე, ევროკავშირმა, გაეროს თხოვნით, მრავალი სამოქალაქო, საპოლიციო თუ სამხედრო მისია განახორციელა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დღესდღეობით, ევროკავშირი გაეროს უმნიშვნელოვანესი პარტნიორია კრიზისების დარეგულირებაში და უმსხვილესი ფინანსური თუ სამხედრო კონტრიბუტორი. 2016 წლის მონაცემებით, გაეროს მთლიანი ბიუჯეტის 30.38% და გაეროს სამშვიდობო მისიების ბიუჯეტის 33.17% ევროკავშირის წევრ ქვეყნებზე მოდის. მხოლოდ ევროკომისიამ, 2014 წელს, გაეროს საგარეო დახმარების პროგრამები და პროექტები დააფინანსა 1.5 მილიარდი ამერიკული დოლარით (Factsheets, 2016).

როგორც ვხედავთ, ევროკავშირსა და გაეროს შორის, კრიზისების მოგვარებასა და სამშვიდობო ოპერაციებში თანამშრომლობა, 2001 წლიდან დღემდე, საკმაოდ ინტენსიურად ვითარდება. არსებული პრობლემების მიუხედავად, მხარეები ცდილობენ გააუმჯობესონ თანამშრომლობის დონე და ხარისხი.

### **2.3. Case Study - ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან სამშვიდობო მისიებში**

ევროკავშირი უამრავ სამშვიდობო მისიაშია ჩართული. გაეროს თხოვნით, იგი ახორციელებს სამოქალაქო, საპოლიციო თუ სამხედრო ოპერაციებს. თუმცა, როგორც აღვნიშნე, ევროკავშირი ყოველთვის არაა მოწადინებული, დაეხმაროს გაეროს სამხედრო მისიით. იმ მიზეზების გამოსაკვლევეად, რა განაპირობებს შერჩევით თანამშრომლობას, განვიხილავ და ერთმანეთს შევადარებ რამდენიმე ქეისს, სადაც კარგად ჩანს, როგორ ხდება ევროკავშირში გადაწყვეტილების მიღება და რა ფაქტორები ახდენს გავლენას. ქეისებად აღებული მაქვს ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციები კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში 2003 და 2006 წლებში და სამშვიდობო მისია ჩადში 2007-2008 წლებში. აგრეთვე, განხილული მაქვს ქეისი, როდესაც ევროკავშირმა უარი უთხრა გაეროს დახმარებაზე - სამშვიდობო მისია გაეგზავნა კონგოს დემოკრატიულ

რესპუბლიკაში 2008 წელს. განვიხილავ თითოეულ შემთხვევას, რომელი ქვეყნები იყვნენ ჩართულნი და რა ფაქტორები თამაშობდა მნიშვნელოვან როლს.

### 2.3.1. ქეისების მიმოხილვა

#### 2.3.1.1. ოპერაცია „არტემისი“

##### ისტორიული მიმოხილვა

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა (DRC) აფრიკის სიდიდით მესამე ქვეყანაა. იგი სუბ-საჰარის აფრიკის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს და მას ცხრა ქვეყანა ესაზღვრება. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა ბუნებრივი რესურსებით, ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა. აქ მოიპოვება ნავთობი და ბუნებრივი აირი, აგრეთვე ბრილიანტები, ოქრო, კობალტი და სხვა მინერალები (MONUC Resources). კონგოს სიმდიდრეს შეიძლება აფრიკისთვის უმნიშვნელოვანესი როლი შეესრულებინა, თუმცა, ნაცვლად ამისა, მხოლოდ ომები და ნგრევა მოიტანა. მისი ბუნებრივი სიმდიდრე ყოველთვის იზიდავდა მეზობელ ქვეყნებს, ხოლო მინერალებით მდიდარი მადაროების ხელში ჩაგდებას ყველა მათგანი ცდილობდა. სწორედ ამიტომ, კონგოში ხშირად ხდებოდა ეთნიკური თუ სხვა სახის სამხედრო დაპირისპირებები, რაც მეზობელი ქვეყნების მიერ იყო წახალისებული და დაფინანსებული, განსაკუთრებით კი რუანდისა და უგანდის მიერ. სწორედ მათ დაიკავეს და აკონტროლებდნენ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონებს- კივუს და იტურს (სადაც მოგვიანებით განხორციელდა ოპერაცია „არტემისი“). აგრეთვე, ჰუტუსა და ტუტუსის ეთნიკური ჯგუფები, ერთმანეთს ეომებოდნენ კივუს ტერიტორიაზე. განსაკუთრებული დაპირისპირება ბრილიანტების მოპოვებასა და ვაჭრობის გარშემო ხდებოდა როგორც კონგოში, ისე აფრიკის სხვა ქვეყნებში (Dickey, 2000). ამის გარდა, სამოქალაქო ომები მიმდინარეობდა ქვეყანაში მთავრობის ხელში ჩასაგდებად. 1977 წელს პრეზიდენტი მობუტუ ჩამოაგდო და ჩანაცვლა ლორე-დეზირე კაბილამ (Kisangani, 2013). თუმცა, 1998 წელს, მისი ყოფილი მოკავშირეები უგანდიდან და რუანდიდან, მის წინააღმდეგ ამხედრდნენ და დაიწყო მეორე სამოქალაქო ომი. 1999

წელს, ექვს სახელმწიფოსა და სამ ამბოხებულ დაჯგუფებას შორის გაფორმდა ლუსაკას შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ რომელიც, აგრეთვე, თანხმდებოდა გაეროს სამშვიდობო ძალების განთავსებას ქვეყანაში სიტუაციის დასარეგულირებლად (Ceasefire Agreement (Lusaka Agreement), 1999). გაერომ დაიწყო ისტორიაში უდიდესი და უძვირესი სამშვიდობო ოპერაცია კონგოში - ოპერაცია MONUC, რომლის მიზანი იყო შეთანხმებების მიღწევა და მათი იმპლემენტაციისთვის თვალყურის დევნება (RESOLUTION 1279 (1999)).

2001 წელს მოკლეს პრეზიდენტი კაბილა, რომელიც ჩაანაცვლა მისმა შვილმა, ჯოზეფ კაბილამ. ამან შედარებით დაარეგულირა კონფლიქტური სიტუაცია, ვინაიდან შვილი კაბილა უფრო მშვიდობიანად იყო განწყობილი და სურდა დახმარების მიღება გაეროსგან და სხვა ორგანიზაციებისგან; აგრეთვე, მზად იყო გაეხსნა გზა ახალი სავაჭრო პარტნიორებისთვის და გაეუმჯობესებინა ქვეყანაში არსებული სიტუაცია. მან, გაეროს წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ მზად იყო ლუსაკას შეთანხმების ხელახლა ამოქმედებისთვის, რომ მას სურდა დაეხურა კონგოს მინერალური რესურსების არალეგალური მოპოვების გზები; აგრეთვე, აცხადებდა დაპირისპირებულ მხარეებთან მოლაპარაკების დაწყების მზადყოფნას (4271st Meeting, 2001), რამაც საშუალება მისცა გაეროს დაეწყო განიარაღების ოპერაციები. 2002 წელს, უგანდასა და კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ხელი მოეწერა ლუანდას შეთანხმებას, რასაც მოყვა იტურის პროვინციიდან უგანდის ჯარის გაყვანა. თუმცა 2003 წელს, ჯარების გაყვნის შემდეგ, კონფლიქტი გამწვავდა იტურში, განსაკუთრებით კი ბუნიას გარშემო - პოლიციელთა და სხვა სამხედროთა დაჯგუფებები, იბრძოდნენ კონტროლის ხელში ჩასაგდებად, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი დაიღუპა, უფრო მეტი კი ლტოლვლად იქცა. დაჯგუფებები თავს დაესხნენ გაეროს შტაბსაც ბუნიაში, და ცისფერჩაფხუტიანებიც გახდნენ აგრესიის მსხვერპლი. გაეროს არ ჰქონდა საკმარისი ეკონომიკური თუ სამხედრო ფინანსები სიტუაციის მოგვარებისთვის, ამიტომ უსაფრთხოების საბჭომ გადაწყვიტა გაეგზავნა დამატებითი ძალები.

**„არტემისი“ - ოპერაციის განხორციელება**

2003 წლის 12 ივნისს, ევროკავშირის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, განხორციელებინა სრულიად ავტონომიური სამხედრო ოპერაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (Resolution 1484). იგი განხორციელდა გაეროს მანდატით, რომელიც მიღებულ იქნა უსაფრთხოების საბჭოს რეზოლუციის თანახმად (COUNCIL JOINT ACTION 2003/423/CFSP). ოპერაცია „არტემისი“ ყველაზე მნიშვნელოვანი მისიაა იმ მხრივ, რომ იგი პირველი სამშვიდობო ოპერაციაა, რაც ევროკავშირმა განახორციელა დამოუკიდებლად. აგრეთვე ის იყო პირველი ოპერაცია, რომლითაც დაიწყო ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობა. ოპერაციის მიზანი იყო, ბუნიაში, უსაფრთხოების პროცესების დარეგულირება და ჰუმანიტარული პირობების გაუმჯობესება (ARTEMIS/DRC).

ოპერაციის განხორციელებაში უდიდესი წვლილი საფრანგეთს მიუძღვის. გაეროს გენერალურმა მდივანმა დახმარების სათხოვნელად სწორედ საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკთან დაიწყო ორმხრივი მოლაპარაკებები. საფრანგეთმა მალევე გამოთქვა მზადყოფნა, განხორციელებინა სამშვიდობო ოპერაცია კონგოში (UN News Centre). თუმცა წამოაყენა რამდენიმე პირობა: პირველ რიგში, საფრანგეთს უნდა მიეღო მანდატი გაეროს ქარტიის VII თავის მიხედვით, რომელიც იძლევა ძალის გამოყენების უფლებას თუ სხვანაირად შეუძლებელია მანდატის შესრულება (CHARTER OF THE UNITED NATIONS, 1945); მეორე, კონფლიქტში ჩართულ მხარეებს - DRC-ს, უგანდასა და რუანდას, ოფიციალურად უნდა დაეჭირათ მხარი საფრანგეთის ინტერვენციისთვის. და ბოლოს, ოპერაცია შეზღუდული უნდა ყოფილიყო დროსა და სივრცეში- იგი განხორციელდებოდა მხოლოდ სამი თვე, მხოლოდ ბუნიას მიდამოებში. თუ ეს პირობები შესრულდებოდა, საფრანგეთი ოფიციალურად გამოაცხადებდა, რომ მზად იყო ყოფილიყო წამყვანი ქვეყან ასეთ ოპერაციაში. მისი კონტრიბუცია იქნებოდა არა მხოლოდ სამხედრო ძალები, არამედ საჭირო არჭურვილობა. აგრეთვე, იგი უზრუნველყოფდა ევროკავშირის სხვა ქვეყნებისგან თანხმობის და დახმარების მიღებას (Faria, 2004, გვ. 39-40).

მართლაც, საფრანგეთმა დაიწყო მოლაპარაკებები ევროკავშირის დონეზე, რათა მიეღო ქვეყნების თანხმობა და მხარდაჭერა. საინტერესო იყო ის მოკლე დრო, რაშიც გადაწყვეტილება იქნა მიღებული. უმაღლესი წარმომადგენლ ხავიერ სოლანას აზრით,

გადაწყვეტილების მიღების პროცესს თვეები დაჭირდებოდა, თუმცა, რეალურად, ინიციატივიდან ოპერაციის განხორციელების დაწყებამდე პერიოდი ერთ თვეზე ნაკლები იყო. ზოგი ავტორის მოსაზრებით, ეს განპირობებული იყო ოპერაციის ხასიათით - იგი მიზნად ისახავდა ბუნიას დემილიტარიზაციას, სახმედრო პერსონალის განთავსებით და არა სამხედრო ჯგუფების განიარაღებას ან მათ დაშლას (Choi, 2013, გვ. 117).

როგორც აღვნიშნე, საფრანგეთმა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ოპერაციის განხორციელებაში. გარდა იმისა, რომ იგი იყო მთავარი კონტრიბუტორი, მან აგრეთვე შეასრულა მთავარი მომლაპარაკებლის როლი ევროკავშირის შიგნით გადაწყვეტილების მისაღებად. პირველ რიგში, საფრანგეთმა დაიწყო მოლაპარაკებები ინსტიტუციურ დონეზე, კერძოდ კი PSC - ში, რათა დაერწმუნებინა ევროპელი კოლეგები, ფორმულირება მიეცათ ევროკავშირის სამხედრო ოპერაციისთვის. შედეგად, PSC-მა მოსთხოვა ხავიერ სოლანას შეესწავლა DRC-ში სამხედრო ოპერაციის შესაძლებლობა და აუცილებლობა.

მომდევნო ნაბიჯი იყო ქვეყნებთან მოლაპარაკება. ჟაკ შირაკმა გამართა მოლაპარაკებები ბრიტანეთთან. საჯაროდ, ტონი ბლერი აცხადებდა მზადყოფნას, შეეტანა წვლილი აფრიკის კონფლიქტების მოსაგვარებლად, რადგან თითოეული ქვეყნის ვალი იყო წერტილი დაესვა სისხლისღვრისთვის აფრიკაში. თუმცა, რეალობაში, ბრიტანეთი ნაკლებ სურვილს გამოთქვამდა მონაწილეობა მიეღო საფრანგეთის მიერ წარმართულ ოპერაციაში, განსაკუთრებით კი, სიფრთხილეს იჩენდა სამხედრო პერსონალის განთავსებაზე. იგი დათანხმდა, რომ გაუწევდა მხოლოდ ლოჯისტიკურ და სამედიცინო დახმარებას (იქვე, 118)<sup>2</sup>.

მთავარი მოწინააღმდეგე იყო გერმანია. იგი თავიდანვე სკეპტიკურად უყურებდა DRC-ში სამხედრო ძალების გაგზავნას და არ სურდა დათანხმებოდა ევროკავშირის მონაწილეობას. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებდა, რომ უმჯობესი იყო მხარი დაეჭირათ „მოხალისეთა კოალიციისთვის“ (coalition of willing) ერაყში. თუმცა, საფრანგეთმა დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები გერმანიის მთავრობასთან. ჟაკ შირაკი

---

<sup>2</sup> გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ 2003 წელს, ყურდლების ცენტრში ექცევა ერაყის ინტერვენცია, შესაბამისად, ბრიტანეთის ყურადღებაც ახლო აღმოსავლეთისკენ იყო მიპყრობილი და ნაკლებ ინტერესს იჩენდა აფრიკის მიმართ

პირადად ჩავიდა გერმანიაში კანცლერთან შესახვედრად. საბოლოოდ, საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის ზეწოლის შედეგად, გერმანია დათანხმდა ოპერაციის განხორციელებას. ამის მიუხედავად, გერმანიას მონაწილეობა არ მიუღია ოპერაციაში და არც ოფიციალური მხარდაჭერა გამოუთქვამს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და შემდგომ (იქვე. გვ. 119).

სხვა ქვეყნების მხრიდან წინააღმდეგობა არ ყოფილა. ევროკავშირმა დაიწყო პირველი დამოუკიდებელი ოპერაციის განხორციელება, რომელიც 3 თვე გაგრძელდა და წარმატებულ ოპერაციად ითვლება. მათ შემდეგ, გაეროსთან ერთად, დაერეგულირებინათ სიტუაცია ბუნიაში და შეენარჩუნებინათ სტაბილურობა. თუმცა, ოპერაცია ბუნიას ფარგლებს არ გაცდენილა და 3 თვის შემდეგ შეწყდა.

როგორც ვხედავთ, გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უმნიშვნელოვანესი როლი მოლაპარაკებებმა შეასრულა, საფრანგეთმა დაითანხმა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები, მხარი დაეჭირათ ოპერაციის განხორციელებაში. მან და დიდმა ბრიტანეთმა შემდეგ დაეთანხმებინათ გერმანია, არ გამოსულიყო მისიის წინააღმდეგ, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა სამშვიდობო ოპერაციის დაწყება.

### ***2.3.1.2. ოპერაცია EUFOR RD Congo (2006)***

#### **წინაპირობები**

2001 წლიდან, ქვეყნის სათავეში მოვიდა ჯოზეფ კაბილა, რომლის პრეზიდენტობის დროს დაიწყო სასიკეთო ცვლილებები ქვეყანაში. თუმცა აჯანყებულ ძალებთან გამკლავება არც ისე ადვილი გამოდგა. 2003 წელს, კაბილამ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვით ის იქნებოდა გარდამავალი მთავრობის ლიდერი, სანამ არჩევნები ჩატარდებოდა, რომლის თარიღადაც დასახელდა 2005 წელი (BBCnews). დემოკრატიული არჩევნები უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა კონგოს მომავალი განვითარებისა და მშვიდობის შენარჩუნებისთვის. გარდამავალმა მთავრობამ მრავალი რეფორმა განახორციელა, მათ შორის კონსტიტუციურიც. 2004 წელს, გამოიყო ბიუჯეტი არჩევნების ჩასატარებლად MONUC-ის დახმარებით. ევროკავშირი აქტიურად იყო ჩართული კონფლიქტის შემდგომ რეკონსტრუქციაში. ოპერაცია „არტემისის“ შემდგომ



მან ორი სამოქალაქო მისია განახორციელა კონგოში. 2005-2006 წლებში, კონსტიტუცია რამდენჯერმე შეიცვალა. კაბილამ ჩაატარა რამდენიმე რეფერენდუმი, რაც დემოკრატიულობისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. თუმცა, სამხედრო სიტუაცია გაუარესდა და დაპირისპირებებმა მუდმივი ხასიათი მიიღო (იქვე). 2006 წელს ჩატარდა პირველი თავისუფალი არჩევნები, თუმცა არ იყო ნათელი რომელი მხარე გაიმარჯვებდა. პრეზიდენტობისთვის იბრძოდნენ ჯოზეფ კაბილა და ჟან პიერ ბემბა. მათი მომხრეები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ დედაქალაქში, რამაც უამრავი მსხვერპლი გამოიწვია.

### **ოპერაციის განხორციელება**

2006 წლის ზაფხულში ევროკავშირმა განახორციელა ავტონომიური სამშვიდობო ოპერაცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, კოდური სახელით EUFOR RD Congo. ოპერაცია ლეგალიზებული იყო გაეროს მანდატით, 2006 წლის რეზოლუციით, უსაფრხოების საბჭომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება მიეცა ევროკავშირისთვის ოპერაციის განხორციელების მანდატი (Resolution 1671 (2006)). ევროკავშირმა დაიწყო სამშვიდობო მისია კონგოში 12 ივნისს, არჩევნებამდე ერთი თვით ადრე (COUNCIL JOINT ACTION 2006/319/CFSP). ოპერაციის მიზანი იყო მხარი დაეჭირა MONUC-ისთვის არჩევნების პერიოდში სიტუაციის დასასტაბილურებლად და არჩევნების მშვიდობიანად ჩასატარებლად.

„არტემისისგან“ განსხვავებით, გადაწყვეტილების მიღების პროცესი EUFOR-ის განხორციელებლად, რთული და კომპლექსური იყო. არსებობდა ეჭვები მისიასთან დაკავშირებით, აგრეთვე, საკამათო იყო რომელი ქვეყანა იქნებოდა ოპერაციის სათავეში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ გაერომ თხოვნა პირდაპირ ევროკავშირს გაუგზავნა, რომელიმე ქვეყანასთან წინასწარი მოლაპარაკების გარეშე.

დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია და იტალია დადებითად შეხვდნენ გაეროს თხოვნას, მონაწილეობა მიეღოთ და მნიშვნელოვანი როლი შეესრულებინათ MONUC-ის შესაძლებლობების მხარდაჭერასა და გაფართოებაში არჩევნების დროს. თუმცა, რეალურად, არცერთ ქვეყანას არ გამოუთქვამს სურვილი ყოფილიყო წამყვანი სახელმწიფო როგორც სამხედრო ძალების კონტრიბუციის მხრივ, ისე სტრატეგიულ დაგეგმარებაში (Choi, 2013, გვ. 153). ბრიტანეთის განცხადებით, იმის გამო, რომ ის უკვე

ჩართული იყო ერაყისა და ავღანეთის კონფლიქტებში, მას არ შეეძლო წარემართა ახალი ოპერაცია. საფრანგეთი, რომელიც მანამდე წამყავნ როლს თამაშობდა აფრიკის კონფლიქტების მოგვარების საკითხებში, ნაკლებ ინტერესს გამოთქვამდა ეთამაშა იგივე როლი. იგი მზად იყო დახმარებოდა გაეროს და თანახმა იყო გაეწია სამხედრო თუ სხვა სახის კონტრიბუცია, თუმცა არ სურდა კვლავ ოპერაციის წამყვანი ყოფილიყო, რადგან საზოგადოების მხრიდან ამას შეიძლება უარყოფითი რეაქცია მოყოლოდა, ვინაიდან საფრანგეთს ადანაშაულებდნენ კაბილას მხარდაჭერასა და მისი მთავრობის სათავეში დატოვების მცდელობაში (იქვე, გვ.154). ასე რომ, ოპერაციის სათავეში საფრანგეთის ყოფნას შეიძლება ეჭვები გამოეწვია ევროკავშირის მიუკერძოებლობაშიც. ამას ემატებოდა ისიც, რომ საფრანგეთს არ ყავდა საბრძოლო მზადყოფნაში მყოფი საკმარისი სამხედრო ძალები, მაშინ როცა გერმანიას ჰქონდა ამის შესაძლებლობა. ამიტომ, საფრანგეთმა მიიჩნია, რომ ბრძნული გადაწყვეტილება იქნებოდა, თუ გერმანია წარმართავდა ამ ოპერაციას. შესაბამისად, გერმანია აღმოჩნდა წნეხის ქვეშ, გაეღო ყველაზე მეტი სამხედრო თუ ფინანსური კონტრიბუცია და ყოფილიყო ოპერაციის სათავეში. გერმანია, ზოგადად, წარსული ისტორიიდან და საშინაო პოლიტიკიდან გამომდინარე, უარზეა განახორციელოს სამხედრო მისიები (იქვე), არც ეს შემთხვევა იყო გამონაკლისი. თუმცა საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მოლოდინები და ზეწოლა დიდი იყო, რამაც გავლენა მოახდინა მის გადაწყვეტილებაზე. მოლაპარაკებები მიმდინარეობდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. საფრანგეთი კონსულტირებას უწევდა კონგოს საკითხებთან დაკავშირებით. საბოლოოდ, გერმანია დათანხმდა განეხორციელებინა ოპერაცია საფრანგეთთან მჭიდრო თანამშრომლობით.

ბრიტანეთი წინააღმდეგ არ წასულა, თუმცა თვითონ არ მიუღია მონაწილეობა. იტალიამ მხოლოდ მცირე მხარდაჭერა გაუწია ოპერაციულ და პოლიტიკურ დონეზე. გერმანია და საფრანგეთი იყვნენ მთავარი აქტორები EUFOR-ის ოპერაციაში. მისიის სამხედრო ძალების 45% საფრანგეთის კონტრიბუცია იყო, 32%-გერმანიის, 6%-ესპანეთის, 5%-პოლონეთის, 3%-ბელიგია, 2-2%- იტალია, შვედეთი, პორტუგალია და ნიდერლანდები, ხოლო ფინეთის კონტრიბუცია 1% იყო. დანარჩენ ქვეყნებს მისიაში სამხედრო ძალები არ გაუგზავნიათ (Choi, 2013, გვ. 161).

მისია განხორციელდა დედაქალაქ კინშასაში. ძირითადი სამხედრო ძალები განთავსებული იყო დედაქალაქში, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი იდგა მეზობელ ქვეყანაში - გაბონში, როგორც რეზერვი (EUFOR RD CONGO: THE MISSION). მისია ეხმარებოდა გაეროს, არჩევნების პერიოდში, სიტუაციის სტაბილიზაციასა და უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

### ***2.3.1.3. კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა 2008წ. - ევროკავშირის უარი გაეროსთან თანამშრომლობაზე***

2008 წელს, DRC-ში სიტუაცია გაუარესდა. დპირისპირება დაიწყო სამხედროებსა და რუანდის მილიციის ძალებს შორის, რომელიც ჰუტუს ეთნიკური ჯგუფებისგან შედგებოდა. ამან გამოიწვია ათასობით ადამიანის უსახლკაროდ დატოვება და ლტოლვილად ქცევა. იმავე წელს, ტუტსის მეთაურობითა ლიდერის, ნკუნდას მომხრეებმა წამოიწყეს ამბოხი. განსაკუთრებით მძიმე იყო მგდომარეობა გომაში, სადაც დაილუპა უამრავი ადამიანი, ათასობით მოსახლე კი იძულებული გახდა დაეტოვებინა სახლი და ეძებნა თავშესაფარი (BBCnews).

გაერომ დახმარება ევროკავშირს სთხოვა, რათა დახმარებოდნენ ლტოლვილებს და დაერეგულირებინათ სიტუაცია ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერები შეიკრიბნენ ბრიუსელის სამიტზე საკითხის განსახილველად. ხავიერ სოლანას შეთავაზებით, ჩრდილოეთ კივუში უნდა გაგზავნილიყო 1.500 გერმანელი და ბრიტანელი სამხედროსგან შემდგარი მისია (Borger, 2008). საფრანგეთი მხარს უჭერდა მისიის განხორციელებას, თუმცა მისი კონტრიბუცია უმნიშვნელო იქნებოდა, ვინაიდან მას უკვე ყავდა გაგზავნილი სამხედროები ჩადის მისიაში და ევროკავშირის სხვა სამშვიდობო ოპერაციებში და არ ჰქონდა საშუალება, კიდევ გამოეყო რაიმე სახის ფინანსური თუ სამხედრო ძალები.

შვედეთი და ბელგია მხარს უჭერდნენ მისიის განხორციელებას. ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საჭირო იყო არსებული სამხედრო ძალების ამოქმედება, რომლებიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დაეთანხმა ამ განცხადებას. მისი თქმით „თუ საბრძოლო

დანაყოფები რამედ ღირან, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ისინი, ხოლო თუ ვერ ვიყენებთ, მაშინ მათი არსებობის არსს უნდა გადავხედოთ“ (VOGEL).

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, მას არ სურდა, ევროკავშირი კვლავ სამხედრო ძალით ჩარეულიყო კონგოში, ამის ნაცვლად სთავაზობდა, გაეროს გაეზარდა საკუთარი შესაძლებლობები. გერმანია, დიდ ბრიტანეთთან ერთად, მთავარი მოწინააღმდეგე იყო სამხედრო ძალების კონგოში გაგზავნისა. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცახდებით, სამხედროს ნაცვლად პოლიტიკური გადაწყვეტილების პოვნა იყო აუცილებელი (Borger, 2008).

დანარჩენი ქვეყნების მხარდაჭერის მიუხედავად, მისია ვერ განხორციელდა გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგობის გამო.

#### **2.3.1.4. ოპერაცია EUFOR TChad/RCA**

EUFOR TChad/RCA არის ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაცია ჩადსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში (CAR). ეს ორი ოპერაცია გაეროს ერთი მანდატის ქვეშ განხორციელდა (RESOLUTION1778, 2007). ევროკავშირმა მიიღო საერთო ქმედების დოკუმენტი, რომლითაც ევროკავშირს შეეძლო განეხორციელებინა სამშვიდობო ოპერაცია გაეროს მისიის MINURCAT-ის მხარდასაჭერად (COUNCIL JOINT ACTION 2007/677/CFSP).

EUFOR TChad/RCA-ის მიზნები იყო:

- უზრუნველყო მშვიდობიანი მოქალაქეების, განსაკუთრებით კი ლტოლილების, დაცვა საფრთხის დროს.
- უზრუნველყო ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება და აგრეთვე ჰუმანიტარული დახმარების მომსახურე პერსონალის უსაფრთხო გადაადგილება.
- უზრუნველყო გაეროს თანამშრომლების უსაფრთხოება და თავისუფალი გადაადგილება, უზრუნველყო ადჭურვილობის დროულად მიწოდება და დაცვა (EEAS).

ოპერაცია EUFOR TChad/RCA ყველაზე მასშტაბური და ამბიციური მისიაა როგორც სამხედრო შემადგენლობის რიცხვით, ისე ხანგრძლივობით - იგი ყველაზე მრავალეროვნული და ყველაზე ხანგრძლივი ავტონომიური სამშვიდობო ოპერაციაა აფრიკაში. ოპერაციის გარშემო კრიტიკული განხილვა მიმდინარეობდა - რატომ გადაწყვიტა ევროპამ განხორციელებინა ასეთი ზომისა და მასშტაბის ოპერაცია უდაბნოს შაგულში 12 თვით.

ჩადისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის კონფლიქტები, ერთ-ერთი ყველაზე მრავალგანზომილებიანი და კომპლექსური კონფლიქტია აფრიკაში, ვინაიდან მასზე გავლენას ახდენდა მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე მოვლენები, განსაკუთრებული ეფექტი ჰქონდა დარფურის კრიზისს. დარფური სუდანის დასავლეთით, უღარიბესი რეგიონია, რომელი ესაზღვრება ჩადსა და CAR-ს. დარფურის კრიზისი ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და სისხმლისმღვრელია, რომელის შედეგადაც 2 მილიონზე მეტი ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა ტერიტორია. დარფურის კრიზისს გადაღვრის ეფექტი ჰქონდა ჩადსა და CAR-ში, განსაკუთრებით კი ლტოლვილების გადინების შედეგად. ამან გაამწვავა ეთნიკური დაპირისპირებები, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია სისხლიანი შეტაკებების გახშირება სხვადასხვა სამხედრო თუ მილიციის დაჯგუფებებს შორის. 2007 წელს ლტოლვილების რაოდენობამ კატასტროფულ ნიშნულს მიაღწია, ამას დაემატა კიდევ ერთი ომი დარფურში და საერთაშორისო საზოგადოებამ გადაწყვიტა ჩარეულიყო რეგიონში სიტუაციის სტაბილიზირების მიზნით (Choi, 2013, გვ. 193). გაერომ, აფრიკის კავშირთან ერთად, დაიწყო სამშვიდობო ოპერაციის განხორციელება. თუმცა, ძალები საკმარისი არ იყო და დახმრება ევროკავშირს სთხოვა.

საფრანგეთი იყო წამყვანი ძალა ევროკავშირის შიგნით მოლაპარაკებებსა და შემდგომ, ოპერაციის განხორციელებაში, და არა მარტო ევროკავშირის. როგორც გაეროს უსაფრთხოების საბჭოს მუდმივმა წევრმა, პირველ რიგში გაეროს ყუარდლება მიაპყრო დარფურის კრიზისისკენ და დაანახა რეგიონში ჩარევის საჭიროება, აგრეთვე, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეცადა დაერწმუნებინა ჩადის მთავრობა, დათანხმებოდნენ სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებას, გამოიყენა რა ჩადთან იტორიული კავშირები და არსებული, ორმხივი ხელშეკრულებები

(UNSC Document S/2007/488, 2007). შემდგომში კი დაიწყო მოლაპარაკებების პროცესი ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის.

მოლაპარაკების პირველი ეტაპი იყო პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი, სადაც საფრანგეთმა წარადგინა სამშვიდობო ოპერაციის განხორციელების იდეა და ინიციატივა. საფრანგეთი ხაზს უსვამდა ოპერაციის საჭიროებას რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სთავაზობდა დანარჩენ წევრ ქვეყნებს გამოეყოთ სამხედრო ძალები გაეროს მრავალგანზომილებიან ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად. საფრანგეთი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ისეთი ქვეყნების დარწმუნებას და ლობირებას, რომლებიც სკეპტიკურად უყურებდნენ მისიის გაგზავნას, ვინაიდან მას საფრანგეთის ინტერესების გატარების საშუალებად ხედავდნენ (Choi, 2013, გვ. 199). საბოლოოდ, საფრანგეთის ძალისხმევით, წევრი ქვეყნები დათანხმდნენ ოპერაციის განხორციელებას. საფრანგეთმა განაცხადა, რომ ის იქნებოდა მთავარი კონტრიბუტორი და მართლაც, მან ოპერაცია უზრუნველყო 2,000 ჯარისკაცით, 8 სამხედრო ვერტმფრენითა და სხვა სატრანსპორტო თუ ლოჯისტიკური მომსახურებით. ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გერმანიისა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან მოდიოდა. მოლაპარაკებების შედეგად, დიდმა ბრიტანეთმა განაცხადა, რომ ის არ შეეწინააღმდეგებოდა მისიის განხორციელებას, თუმცა არც რაიმე სახის დახმარებას გაუწევდა მას. იტალია მხარს უჭერდა მისიას, მხოლოდ სამედიცინო და არა სამხედრო დახმარებით. ოპერაციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სკანდიავიის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით შვედეთმა, აგრეთვე პოლონეთმა, რუმინეთმა და ბელგიამ. სხვა ქვეყნების დახმარების მიუხედავად, ოპერაციის სამხედრო თუ ეკონომიკური დანახარჯების ნახევარზე მეტი, საფრანგეთმა აიღო თავის თავზე (იქვე, გვ.200).

როგორც ქეისების კვლევა გვაჩვენებს, თითოეული შემთხვევა განსხვავებულია და განსხვავებული ფაქტორები იჩენს თავს. ოპერაციების განხორციელებაში დიდი როლი შეასრულეს დიდმა სახელმწიფოებმა, კერძოდ კი საფრანგეთმა, გერმანიამ და დიდმა ბრიტანეთმა, რადგან როდესაც რომელიმე მათგანი ლობირებდა მისიის განხორციელებას და მათგან წინააღმდეგობა არ მოდიოდა, ევროკავშირი გზავნიდა

სამხედრო თუ სამშვიდობო მისიას. მაგალითად, საფრანგეთი ადვილად ახერხებდა დანარჩენი ქვეყნების დათანხმებას. მაგრამ თუ დიდი ქვეყნების ინტერესი ნაკლები იყო და მათ არ სურდათ მისიის გაგზავნა, ოპერაცია ვერ განხორციელდებოდა, როგორც ეს 2008 წელს მოხდა - იმის მიუხედავად, რომ შვედეთს, ბელგიას, ჰოლანდიას და სხვა სახელწიფოებს სურდათ კონგოში მისიის გაგზავნა, მათ ვერ მიიღეს თანხმობა გერმანიასა და დიდი ბრიტანეთისგან. ეს კარგად აჩვენებს ქვეყნებს შორის გავლენის უთანასწორობას.

### **თავი 3: ევროკავშირის ცვალებადი დამოკიდებულების მიზეზები გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ სამშვიდობო ოპერაციებში; საკითხის თეორიულ ჭრილში განხილვა**

ამ თავში განხილული იქნება ის ფაქტორები, რაც ევროკავშირის გაეროსთან თანამშრომლობისადმი ცვალებად დამოკიდებულებაზე ახდენს გავლენას. პირველ ნაწილში მოვახდენ დამოუკიდებელი ცვლადების ოპერაციონალიზაციას. ამასთან, შევეცდები დავადგინო რომელია თანამშრომლობისთვის საჭირო და საკმარისი, საჭირო და არასაკმარისი, უფრო მეტად ან ნაკლებად საჭირო პირობები.

მეორე ნაწილში მოვახდენ საკითხის თეორიულ ჭრილში განხილვას. შევეცდები გავანალიზო როგორ ხსნის ინტერგავერნმენტალისტური თეორია ევროკავშირის თანამშრომლობას გაეროსთან და მის ჩართულობას სამშვიდობო ოპერაციებში.

#### **3.1. საკმარისი და საჭირო პირობების კონცეფცია**

##### **ცვლადების ოპერაციონალიზაცია**

ყველა ავტორსა თუ აკადემიკოსს განსხვავებული ხედვა აქვს იმასთან დაკავშირებით, თუ რა ახდენს გავლენას ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე დათანხმდეს გაეროსთან თანამშრომლობას და განახორციელოს სამშვიდობო ოპერაცია. სხვადასხვა წყაროებსა თუ მონაცემებზე დაყრდნობით, გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი.

ზოგი ავტორის მოსაზრებით, ევროკავშირის ჩართულობა სამშვიდობო მისიებში, ნორმატიული ფასეულობებითაა განპირობებული. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ქვეყნები თანხმდებიან გაეროს მოთხოვნას, განახორციელონ სამოქალაქო თუ სამხედრო ოპერაციები, არის კონფლიქტურ რეგიონებში ჰუმანიტარული კატასტროფის თავიდან აცილება და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება (Duke, 2008, გვ. 1). როდესაც ირღვევა ადამიანის უფლებები, კონფლიქტების შედეგად იღუპება ან ლტოვილად



იქცევა უამრავი ადამიანი, ევროკავშირი გრძნობს ვალდებულებას, საკუთარი წვლილი შეიტანოს კრიზისის მოგვარების პროცესში.

თუმცა, არის კი ეს საჭირო ან საკმარისი პირობა? შეგვიძლია ვთქვათ, რომ ნორმატიული ფაქტორები საჭირო პირობაა. სამშვიდობო ოპერაციის განხორციელებისთვის აუცილებელია შექმნილი იყოს ისეთი სიტუაცია, სადაც ევროკავშირის, გაეროს თუ სხვა ორგანიზაციის დახმარება იქნება საჭირო. თუმცა ეს საკმარისი მიზეზი არაა. კონგოს კრიზის დროს 2008 წელს, დაიღუპა სამოქალაქო პირი და ათასობით მოსახლე იძულებული გახდა დაეტოვებინა საცხოვრებელი (BBCnews). თუმცა, ამის მიუხედავად, ევროკავშირმა უარი განაცხადა გაეროს თხოვნაზე, გაეგზავნა სამშვიდობო მისია.

ზოგჯერ, ევროკავშირი, გაეროსგან დამოუკიდებლად, ახორციელებს სამშვიდობო ოპერაციას. ზოგი ავტორის მოსაზრებით, ეს განპირობებულია იმით, რომ ევროკავშირი აღიქმება როგორც ნეიტრალური მხარე. როდესაც დაპირისპირებულ მხარეებს არ სურთ მიმართონ ნატოს ან გაეროს, მაშინ ევროკავშირი ყველაზე შესაფერისი კანდიდატურაა, როგორც ეს საქართველოს შემთხვევაში მოხდა. თუმცა ეს არც საჭირო პირობაა და არც საკმარისი. ასეთი ქეისები გამონაკლისია და ძირითადად, ევროკავშირის სამშვიდობო მისიები გაეროს თანხმობით და მასთან თანამშრომლობით ხორციელდება. აგრეთვე, ევროკავშირის უარი ამოხსნა ოპერაციაში ჩართვაზე, თუ საეჭვოა მისიის მიზნები და ეფექტურობა, როგორც ეს კონგოში მოხდა 2008 წელს (Penksa & Ginsberg, 2012, გვ. 173-74).

ინსტიტუტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით პოლიტიკისა და უსაფრთხოების კომიტეტი სამხედრო კომიტეტთან ერთად, ვინაიდან, წინადადების განხილვა სწორედ ამ ინსტიტუტებში იწყება და რეკომენდაციების მიცემაც მათი ვალია. ამიტომ, ქვეყნები ცდილობენ, პირველ რიგში, მოლაპარაკებები აწარმოონ ამ ინსტიტუტების დონეზე და მიიღონ მათგან თანხმობა, როგორც ეს საფრანგეთმა გააკეთა კონგოსა და ჩადის მისიების დროს (Choi, 2013). ინსტიტუტების ფაქტორები მართლაც მნიშვნელოვანია და შეგვიძლია საჭირო პირობად ჩავთვალოთ, ვინაიდან წევრი ქვეყნები თითქმის ყოველთვის ითვალისწინებენ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.

უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნების საშინაო პოლიტიკა. როდესაც ევროკავშირის წევრი რომელიმე ქვეყნის შიდა პოლიტიკა განსხვავებულია მისიის მიზნებისგან, მაშინ ეს ქვეყანა ოპერაციის განხორციელების წინააღმდეგია. მაგალითად, გერმანია, წარსულიდან გამომდინარე, ყოველთვის თავს იკავებს სამხედრო მისიების განხორციელებისგან, ვინაიდან გერმანიის მოსახლეობა უარყოფითადაა განწყობილი სამხედრო ძალით ჩარევის მიმართ (Ginsberg, 2011). საშინაო პოლიტიკა საჭირო ფაქტორია, თუმცა არც ისე გადამწყვეტი, რადგან თუ სხვა სახის ინტერესები გადაწონის, სახელწიფო თანხმდება ოპერაციის განხორციელებაზე, როგორც ეს გერმანიის შემთხვევაში მოხდა, როდესაც იგი არა მხოლოდ დათანხმდა კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში სამხედრო ძალების გაგზავნას, არამედ თვითონ გახდა წამყვანი ქვეყანა და მისი კონტრიბუცია საკმაოდ დიდი იყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია წევრი ქვეყნების ეროვნული ინტერესები, განსაკუთრებით კი დიდი სახელმწიფოების როლი. როგორც აღვნიშნე, გადაწყვეტილები სამშვიდობო ოპერაციებში ჩარევასთან დაკავშირებით, ინტერგავერნმენტულ დონეზე მიიღება, სწორედ ამიტომ აქვს ქვეყნების ინტერესებს ასეთი მნიშვნელოვანი როლი. თუ ქვეყნის ეროვნული ინტერესები ევროკავშირის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ჩარჩოში მოქმედებაა, მაშინ ისინი თანხმდებიან თანამშრომლობას. ზოგჯერ კი, ევროკავშირი შეიძლება იარაღად იქცეს მათი ინტერესების განსახორციელებლად. ეს ინტერესები შეიძლება იყოს პოლიტიკური და ეკონომიკური. რა იყო საფრანგეთის პოლიტიკური ინტერესი, როდესაც ასე აქტიურად იღებდა მონაწილეობას აფრიკის სამშვიდობო მისიებში? ზოგიერთი ავტორის აზრით, ეს იყო საფრანგეთის მცდელობა, გამოესწორებინა ქვეყნის პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე რუანდის კრიზისის შემდგომ. არსებობდა მოსაზრება, რომ რუანდაში განხორციელებული მისია, რეალურად ემსახურებოდა არა ხალხის დახმარებას, არამედ საფრანგეთის ინტერესებს, რადგან როდესაც ამის საჭიროება იყო, არც საფრანგეთმა და არც სხვა ქვეყნებმა, არაფერი გააკეთეს გენოციდის თავიდან ასაცილებლად, საფრანგეთის ინტერვენცია დაგვიანებული იყო, რამაც ბევრი ეჭვი და კრიტიკა გამოიწვია საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან. ოპერაცია „არტემისი“ ერთ-ერთი პირველი იყო რუანდის კრიზისის შემდეგ, სწორედ ამიტომ სურდა

საფრანგეთს ყოფილიყო ოპერაციის სათავეში და თავად განეხორციელებინა მისია ჰუმანიტარული მიზნებით (Choi, 2013). რაც შეეხება დანარჩენ ქვეყნებს, დახმარებაზე უარის თქმა ან ოპერაციის შეჩერება, მაშინ როცა ასეულობით ათასი ადამიანი იტანჯებოდა, ცუდად აისახებოდა მათ საერთაშორისო პრესტიჟზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ეკონომიკური ინტერესები. თუ გადავხედავთ ვაჭრობას კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის, დავინახავთ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს. 2001 წლამდე, საფრანგეთი არც ისეთი ახლო პარტნიორი იყო, ვინაიდან მამა კაბილას არ სურდა მასთან ვაჭრობის გაღრმავება. თუმცა ჯოზეფ კაბილას პრეზიდენტად მოსვლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. მან ახალი სავაჭრო გზა გაუხსნა საფრანგეთს და ევროკავშირის სხვა ქვეყნებს (Choi, 2013, გვ. 134). რატომ იყო ასეთი მიშვნელოვანი კონგოსთან ვაჭრობა?

კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ეკონომიკური პოტენციალით, უმნიშვნელოვანესია აფრიკის ქვეყნებს შორის. იგი ფლობს აფრიკის ტყეების 50%-ზე მეტს, მდინარე კონგო მეორეა სიგრძით აფრიკაში, ნილოსის შემდეგ. რაც ყველაზე მთავარია, იგი ფლობს ჰიდრო რესურსების უდიდეს მარაგს და შეუძლია ელექტროენერჯით მოამარაგოს მთელი კონტინენტი. ამას გარდა, კონგო მდიდარია ბუნებრივი მინერალებით. ცენტრალური აფრიკის ე.წ. „სპილენძის ქამარი“, რომელიც კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე გადის, შეიცავს კობალტის მსოფლიო რეზერვების ერთ მესამედს, ხოლო მსოფლიო სპილენძის რეზერვების ერთ მეათედს. აგრეთვე, კონგო ფლობს კოლტანის წიაღისეულის მსოფლიო მარაგის 80 %-ს, რომელიც თავის მხრივ, არის კოლუმბიტ-ტანტალიტის წყარო, რომელიც გამოიყენება ელექტრონული მოწყობილობების დასამზადებლად, განსაკუთრებით კი მობილურების. აგრეთვე, კონგო ბრილიანტების მწარმოებელ ქვეყანათა შორის ერთ-ერთი უდიდესია. აქ მოიპოვება ოქრო, ვერცხლი, ლალი, ურანი, თუთია, რკინა, იშვიათი მინერალები. კონგო მდიდარია ნავთობისა და გაზის რესურსებითაც (MONUC Resources).

ამის შემდეგ, გასაკვირი არაა, რომ ევროკავშირის ქვეყნებს სურდათ ყოფილიყვენ კონგოს ახლო პარტნიორები ვაჭრობაში. მართლაც 2001 წლიდან, იმპორტ-ექსპორტის მაჩვენებლები იზრდება. თუმცა, არეულობას კონგოში შეიძლება გამოეწვია ჯოზეფ

კაბილას ჩამოგდება, რაც საფრანგეთის ინტერესებში არ შედიოდა. სწორედ ამიტომ, საფრანგეთი აქტიურად ლობირებდა სამშვიდობო ოპერაციის დაწყებას. საინტერესოა ისიც, რომ მისიის ტერიტორია მხოლოდ ბუნის საზღვრებს მოიცავდა, სადაც მინერალური რესურსების უმდიდრესი მადაროებია. თუ საერთაშორისო მონეტარული ფონდის ვაჭრობის სტატისტიკებს გადავხედავთ, დავინახავთ რამხელა მაჩვენებლით გაიზარდა 2003 წლიდან კონგოსა და საფრანგეთს შორის ვაჭრობა და რესურსების იმპორტ-ექსპორტი. თუ 2001-2002 წლისთვის, კონგოდან საფრანგეთისკენ ექსპორტი 30 მილიონ ამერიკულ დოლარამდე მერყეობდა, 2005 წლისთვის მან 100 მილიონს, ხოლო იმპორტმა 130 მილიონს გადააჭარბა (IMFdata).

ეკონომიკური ინტერესი კარგად გამოჩნდა გერმანიის მიერ კონგოში 2006 წლის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის თანხმობისას. მისი უარყოფითი დამოკიდებულება სამხედრო მისიების მიმართ გადაწონა შესაძლო ეკონომიკურმა მოგებამ. როგორც აღვნიშნე, გერმანია დათანხმდა გაეზავნა სამხედრო მისია, რომელიც შედგებოდა 1000 ჯარისკაცისგან, თუმცა საინტერესო ფაქტია ის, რომ მხოლოდ 300 ჯარისკაცი იქნა განთავსებული კინშასაში, დანარჩენი კი იდგა მეზობლად მდებარე ქვეყანაში - გაბონში, რომელიც ბუნებრივი რესურსების გარდა, ნავთობითა და გაზით მდიდარი ქვეყანაა. თუ მონეტარული ფონდის მონაცემთა ბაზებს ვნახავთ და ერთმანეთს შევადარებთ გაბონსა და გერმანიას შორის სავაჭრო პარტნიორობას 2006 წლამდე და შემდგომ, დავინახავთ, რომ იმპორტი და ექსპორტი გაიზარდა რამდენიმე მილიონით (იქვე). ეკონომიკური მოგების გარდა, სამხედრო ნაწილების გაბონში განთავსებით, გერმანიამ მინიმუმადე დაიყვანა პიროვნული და სამხედრო დანაკარგების რიცხვი.

ჩადში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ეკონომიკური მოგების გარდა, საერთაშორისო პრესტიჟის ამღლეების სურვილმა ითამაშა გადამწყვეტი როლი. საფრანგეთს საკუთარი ინტერესები გააჩნდა ამ რეგიონში - ეკონომიკური და ისტორიული კავშირები. დანარჩენ ქვეყნებს კი სურდათ გამხდარიყვნენ ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი მისიის ნაწილი. საფრანგეთმა, მოლაპარაკებების დროს სწორედ ეს ფაქტორი გამოიყენა - აუხსნა რა ქვეყნებს რეგიონში არსებული სიტუაცია, დაანახა ოპერაციის განხორციელების საჭიროება, რაც მათ საშუალებას მისცემდა, ერთის მხრივ, დახმარებოდნენ ადგილობრივ მოსახელობას და თავიდან აეცილებინათ

მომავალი სისხლისღვრა, მეორეს მხრივ კი გამხდარიყვნენ ყველაზე საერთაშორისო და ხანგრძლივი მისიის ნაწილი, რაც მათ პრესტიჟსა და როლზე დადებითად აისახებოდა (Choi, 2013).

რაც შეეხება იმ ფაქტორებს, თუ რის გამო თქვა უარი ევროკავშირმა კონგოში სამშვიდობო ოპერაციის გაგზავნაზე 2008 წელს, პირველ რიგში ეს იყო რესურსების უქონლობა; როგორც აღვნიშნე, ევროკავშირი ამ წელს უკვე ახორციელებდა აფრიკაში უდიდეს მისიას ჩადსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში. საფრანგეთს, რომელსაც ყოველთვის მთავარი როლი ჰქონდა ქვეყნებთან მოლაპარაკებების წარმოებასა და ოპერაციების ფინანსურად თუ სამხედრო ძალებით მომარაგებაში, უკვე გაგზავნილი ყავდა 2000-ზე მეტი სამხედრო. ამიტომ მას არ შეეძლო შეეთავაზებინა მეტი კონტრიბუცია. გერმანია და დიდი ბრიტანეთი კი, ისედაც სკეპტიკურად იყვნენ განწყობილნი ამ ოპერაციის მიმართ. გარდა ამისა, კონგოში არსებობდა ევროკავშირის საპოლიციო მისია, რომელიც ზრუნავდა ქვეყნის განვითარებისთვის, ეკონომიკური კავშირები და ვაჭრობის მაჩვენებლები კვლავ მაღალი იყო (IMFdata), ამიტომ საფრანგეთმა აღარ ჩათვალა საჭიროდ ზედმეტი დანაკარგები გაეღო.

როგორც ვხედავთ, რამდენიმე საჭირო პირობა არსებობს, იმისთვის რომ ევროკავშირი დათანხმდეს გაეროსთან თანამშრომლობას და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელებას. ეს პირობებია: ნორმატიული ფაქტორი, ინსტიტუტების თანხმობა, ქვეყნის საშინაო პოლიტიკის თანხვედრა მისიის ინტერესებთან, დიდი ქვეყნების სურვილი და მათი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები. მათგან ყველაზე ნაკლებ მნიშვნელოვანია ნორმატიული ფაქტორი, ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირო ფაქტორებია დიდი ქვეყნის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესების თანხვედრა. და როდესაც ევროკავშირის დიდი სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები თანხვედრაშია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასთან, ეს უკანასკნელი ხდება საშუალება ეროვნული ინტერესების განსახორციელებლად.

### 3.2. ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან ინტერგავერნმენტალისტური

#### თეორიის ჭრილში

თემაში გამოყენებული მსჯელობა ინტერგავერნმენტალისტური თეორია, რომელიც, თავისი არსით, რეგიონული, კერძოდ კი ევროკავშირის, ინტეგრაციის ასახსნელად განვითარდა, თუმცა, მე გადავწყვიტე თეორია მომერგო სრულიად ახალი ქეისისთვის და ამეხსნა ევროკავშირის გაეროსთან თანამშრომლობის დინამიკა მშვიდობისა და კრიზისების დარეგულირების საკითხებში. ეს ის სფეროა, სადაც გადაწყვეტილება სახელმწიფოებს შორის მიიღება და საბოლოო ვერდიქტის გამოტანა მათი პრივილეგიაა. პროცესი ინტერგავერნმენტალურ დონეზე მიმდინარეობს, ამიტომ, შევეცადე ინტეგრაციის თეორია გადმომეტანა თანამშრომლობაზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესი გამეანალიზებინა ამ თეორიის ძირითადი პოსტულატებით.

ინტერგავერნმენტალისტურ თეორიას რამდენიმე მიმართულება აქვს: კლასიკური ინტერგავერნმენტალიზმი, ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმი და ახალი, ე.წ. „სათათბირო ინტერგავერნმენტალიზმი“. მათი ძირითადი იდეა ერთია, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთმანეთ ავსებენ. ამიტომ ქეისის ასახსნელად გავაერთიანებ მათ პოსტულატებს.

თეორია რამდენიმე ძირითად იდეას ეყრდნობა:

- თეორია სახელმწიფო-ცენტრულია; ერი-სახელმწიფო საერთაშორისო სიტემის უმთავრეს აქტორად რჩება;
- ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე;
- სახელმწიფოები რაციონალური აქტორები არიან; მათ ქმედებებს წარმართავს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები; ისინი მანამ თანხმდებიან ინტეგრაციას, სანამ კავშირში ყოფნა მათ ინტერესებში შედის;
- სახელმწიფოების პოლიტიკას წარმართავს საშინაო დეტერმინანტები; აგრეთვე, ისინი ნაკლებ მოწადინებულნი არიან დათმონ საკუთარი სუვერენიტეტი და გადასცენ რეგიონალურ ორგანიზაციას, ისინი თანხმდებიან ისეთ ორგანიზაციაში ყოფნას, რაც არ ზღუდავს მათ განხვავებულობას;

- კავშირის შიგნით ქვეყნების ურთიერთობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვავენ ისინი გარე სამყაროს;
- სახელმწიფოს ქმედებას განსაზღვრავს მისი პოზიცია და ადგილი საერთაშორისო სისტემაში- თუ როგორი პოლიტიკით და რა მიმართულებით წარსდგება იგი;
- გადაწყვეტილებები მიიღება მოლაპარაკებების დონეზე;
- ინტეგრაცია მიმდინარეობს მანამდე, სანამ ქვეყნები ერთი მიმართულებით მიდიან;
- ევროკავშირი სახელმწიფოთა უთანასწორობაა.

როგორც ვხედავთ, თეორია უმნიშვნელოვანეს როლს ანიჭებს სახელმწიფოებს. ჩემი ჰიპოთეზის მიხედვით, ევროკავშირის დამოკიდებულება სამშვიდობო მისიებში გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ იცვლება დიდი ქვეყნების ინტერესების ცვლილების პარალელურად, რაც შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა შიდა თუ გარე ფაქტორებით. მთავარი როლი სწორედ წევრ სახელმწიფოებს ენიჭებათ. ისინი თანხმდებიან გაეროსთან თანამშრომლობას, რადგან ეს მათი ნება სურვილით ხდება, მათი გადაწყვეტილება შეზრუდული არაა რაიმე სუპრანაციონალური ორგანოს მიერ. თეორიის თანახმად, ქვეყნის პოლიტიკას განსაზღვრავს საშინაო დეტერმინანტები და ქვეყნის პოზიცია და როლი საერთაშორისო სისტემაში; აგრეთვე მათი აღქმები მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ეს კარგად ჩანს გერმანია-საფრანგეთი-დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში. საფრანგეთი ყოველთვის ცდილობს აქტიურად იყოს ჩართული სამშვიდობო ოპერაციებში, იგი ასრულებს მთავარი მომლაპარაკებლის როლს გაეროსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის, ვინაიდან სურს წარმოაჩინოს სახელმწიფოს როლი და ადგილი და დაიმკვიდროს წამყვანი ქვეყნის სტატუსი. გერმანია ყოველთვის სკეპტიკურადაა განწყობილი სამხედრო ოპერაციების დროს, რასაც ხშირად ეთანხმება დიდი ბრიტანეთი, ვინაიდან იგი თავს იკავებს ისეთ ოპერაციებში მონაწილეობისგან სადაც სათავეში საფრანგეთია (Choi, 2013).

ახალი მიმდინარეობა ხშირად „სათათბირო ინტერგავერნმენტალიზმის“ სახელითაა ცნობილი, რადგან გადაწყვეტილების მიღება ხდება მოლაპარაკებების დონეზე. აგრეთვე, ენდრიუ მორავჩიკის მიერ განვითარებული ლიბერალური ინტერგავერნმენტალიზმის თანახმად, ქვეყნები რაციონალური აქტორები არიან და მათ

ქმედებებს ინტერესები წარმართავს. თუ დიდ და ძლიერ სახელმწიფოებს სურთ სამშვიდობო მისიაში მონაწილეობის მიღება, ისინი იწყებენ მოლაპარაკებებს მთავრობების დონეზე, რათა უფრო ადვილად იქნას მიღწეული კონსენსუსი. ხშირად მათი გადაწყვეტილებები რაციონალურია, ეკონომიკურ ინტერესებზე დაფუძნებული, ზოგჯერ შიდა პოლიტიკა დიდ როლს თამაშობს, როგორც ეს გერმანიის შემთხვევაშია. თუმცა თუ ეკონომიკური ინტერესი ან ნორმატიული წნეხი დიდია, გერმანია თანხმდება ოპერაციას. ამის კარგი მაგალითი იყო კონგოსა და ჩადში განხორციელებული მისიები.

თეორიის ერთ-ერთი პოსტულატის თანახმად, ევროკავშირი სახელმწიფოთა უთანასწორობაა. რაც გულისხმობს იმას, რომ ქვეყანათა გარკვეულ ჯგუფს უფრო მეტი გავლენა და შესაძლებლობები აქვს ვიდრე დანარჩენებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ რამდენიმე დიდი სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა შეუცვლელია გადაწყვეტილების მიღების პროცესში, და რომ მათი გავლენა და ინტერესები ხშირად გადაწონის დანარჩენი ქვეყნების შესაძლებლობებს.

თეორიის მიხედვით, ინტეგრაცია მანამ ხდება, სანამ ქვეყნები თანხმდებიან პროცესის გაგრძელებაზე. ჩემი ჰიპოთეზის მიხედვით, თანამშრომლობა ხდება მაშინ, როდესაც ქვეყნები თანახმანი არიან, თუ თანამშრომლობა მათ ინტერესებში არაა, იგი აღარ გაგრძელდება.

ჰოფმანს თუ დავესესხებით, „პროცესი საფუძვლიან მანქანასავითაა, მას მანამდე შეუძლია მუშაობა, სანამ ვინმე აწვდის საფუძვას. როგორც კი მომხმარებლები იწყებენ დავას და წყვეტენ მიწოდებას, მანქანა ჩერდება“ (Hoffmann, 1966, p. 886). ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან სამშვიდობო მისიებში გრძელდება მანამ, სანამ წევრი ქვეყნები აწვდიან „საფუძვას“, ამ შემთხვევაში, აძლევენ თანხმობას ან/და ახდენენ ფინანსურ თუ სამხედრო კონტრიბუციას. თუ მათ შეწყვიტეს საფუძვლის მიწოდება და აღარ მოისურვეს მისიებში მონაწილეობის მიღება ან მისი განხორციელება, ევროკავშირი წყვეტს გაეროსთან თანამშრომლობას.



## დასკვნა

ევროკავშირის თანამშრომლობა გაეროსთან, მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში, 2003 წლიდან დაიწყო, როდესაც ევროკავშირმა, გაეროს თხოვნით, განახორციელა პირველი დამოუკიდებელი სამშვიდობო მისია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ოპერაცია „არტემისი“. ამის შემდეგ მათი თანამშრომლობა ღრმავდებოდა და ვითარდებოდა და მან მოიცვა სხვადასხვა სამხედრო თუ სამოქალაქო მისიები კონფლიქტურ რეგიონებში. თუმცა, თანამშრომლობის ხარისხი ცვალებადია. ევროკავშირი ყოველთვის არაა მზად გაეზავნოს სამშვიდობო მისია გაეროს თხოვნით, ამა თუ იმ კონფლიქტში.

ნაშრომის მიზანი იყო დაედგინა ის ფაქტორები, რაც გავლენას ახდენდა ევროკავშირის ცვალებად დამოკიდებულებაზე გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში. ვინაიდან ეს სფერო საკმაოდ ფართოა, კვლევა ფოკუსს ახდენდა ევროკავშირის თანამშრომლობაზე გაეროსთან სამშვიდობო ოპერაციებში. საკითხის შესასწავლად, განხილულ იქნა და ერთმანეთს შედარდა რამდენიმე ქეისი, კერძოდ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში განხორციელებული მისიები 2003 და 2006 წელს და ჩადსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში განხორციელებული მისია 2008 წელს. აგრეთვე, მოხდა 2008 წლის სიტუაციის ანალიზი, როდესაც ევროკავშირმა უარი განუცხადა გაეროს, გაეზავნა სამშვიდობო მისია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

კვლევის შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე ფაქტორი, რაც გავლენას ახდენდა ევროკავშირის ცვალებად დამოკიდებულებაზე. საკმარისი და საჭირო პირობების კონცეფციის დახმარებით გამოიკვეთა ყველაზე საჭირო პირობები და ინტერგვერნმენტალისტური თეორიის ჭრილში განხილვის შედეგად, ჩამოყალიბდა შემდეგი ჰიპოთეზა: დიდი სახელმწიფოების პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ცვლილება განაპირობებს მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში გაეროსთან თანამშრომლობის მიმართ ევროკავშირის ცვალებად დამოკიდებულებას.

კვლევა მნიშვნელოვანია აკადემიური თვალსაზრისით, ვინაიდან არ არსებობს ჩამოყალიბებული აკადემიური ნაშრომი, რომელიც მოახდენდა, ამ სფეროში,

ევროკავშირისა და გაეროს თანამშრომლობის დინამიკის შესწავლას და ყველა იმ საჭირო პირობის თავმოყრასა და ახსნას, რაც გავლენას ახდენს ევროკავშირის მხრიდან თანამშრომლობისადმი ცვალებად დამოკიდებულებაზე. ამასთან, ჩემი კვლევა პირველია, რომელიც ამ კონკრეტულ საკითხს ინტეგრირებული თეორიით ხნის. როგორც ცნობილია, ინტეგრირებული თეორია რეგიონული, ევროპული ინტეგრაციის ასახსნელად განვთარდა და ავტორების უმეტესობა მას სწორედ რეგიონული ორგანიზაციების და ზოგადად, რეგიონული ინტეგრაციის გასაანალიზებლად იყენებს. თუმცა, თეორიის პოსტულატები საშუალებას იძლეოდა თეორია მოგვეჩვენა ჩემს საკვლევ საგანზე, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა თეორიის ახლებური დანახვა.

მნიშვნელოვანია კვლევის პრაქტიკული შედეგები იმ მხრივ, რომ დაგვეხმარება განვსაზღვროთ, რა ახდენს გავლენას ევროკავშირის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, როდესაც განიხილავენ სამშვიდობო მისიებში ჩარევის საკითხს. კვლევა გვეხმარება დავინახოთ, რა როლი აქვთ დიდ სახელმწიფოებს, როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოლაპარაკებების წარმოება და რა გავლენას ახდენს ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესები წევრი სახელმწიფოების გადაწყვეტილებაზე, რაც შემდგომში ევროკავშირის საბოლოო დადგენილების შედეგზე აისახება.

კვლევის შედეგების ანალიზი დაგვეხმარება რეგიონული ორგანიზაციების გაეროსთან თანამშრომლობისა და სამშვიდობო მისიებში ჩართულობის პარამეტრების დასადგენად რაც პრაქტიკაში დაგვეხმარება სწორი პოლიტიკური რეკომენდაციების შემუშავებაში.

## ბიბლიოგრაფია

### წიგნები და სტატიები:

- Bellamy, A. J., & Williams, P. D. (2010). *Understanding Peacekeeping*. Polity Press.
- Choi, Y. (2013). *UN-EU Cooperation in International Peace and Security: The Driving Force Behind Peacekeeping Cooperation: PhD Thesis*. The University of Edinburgh.
- Cîrlig, C. (2015). *EU-UN cooperation in peacekeeping*. Retrieved 05 20, 2017, from EPRS | European Parliamentary Research Service:  
[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2015/572783/EPRS\\_BRI\(2015\)572\\_783\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/BRIE/2015/572783/EPRS_BRI(2015)572_783_EN.pdf)
- Cross, M. K. (2010, 02). *Cooperation by Committee: The EU Military Committee and the Committee for Civilian Crisis Management*. Retrieved 05 25, 2017, from European Union Institute for Security Studies:  
[http://www.iss.europa.eu/uploads/media/op82\\_CooperationbyCommittee.pdf](http://www.iss.europa.eu/uploads/media/op82_CooperationbyCommittee.pdf)
- Dickey, S. (2000). *Sierra Leone: Diamonds for Arms*. Human Rights Brief, Volume 7 | Issue 3.
- Duke, S. (2008). *Consensus Building in ESDP: Lessons of Operation Artemis*. Dublin: Dublin European Institute.
- Faria, F. (2004). *Crisis Management in Sub-Saharan Africa: The role of the European Union*. ISS Occasional Papers.
- Ginsberg, R. H. (2011, 03 3-5). *Measuring and Evaluating CSDP Impact: The Case of EU-NATO Relations*. Retrieved 05 27, 2017, from  
[https://eustudies.org/assets/files/papers/li\\_ginsberg.pdf](https://eustudies.org/assets/files/papers/li_ginsberg.pdf)
- Hoffmann, S. (1966). Obsolete or Obsolete? The Fate of the Nation-State and the Case of Western Europe. *Daedalus, Vol. 95, No. 3*, 862-915.
- Kisangani, E. F. (2013). Civil Wars in the Democratic Republic of Congo, 1960-2010. *Perspectives on Politics; Vol. 11, No. 2*, 675-676.
- Major, C. (2008). *EU-UN Cooperation in Military Crisis Management: the Experience of EUFOR RD Congo in 2006*. Paris: European Union Institute for Security Studies.

- Moravcsik, A., & Schimmelfennig, F. (2009). Liberal Intergovernmentalism. In A. Wiener, & T. Diez, *European Integration Theory* (pp. 67-87). OXFORD UNIVERSITY PRESS.
- Penksa, S. E., & Ginsberg, R. H. (2012). *The European Union in Global Security; The Politics of Impact*. New York: PALGRAVE MACMILLAN.
- Puetter, U., Bickerton, C. J., & Hodson, D. (2015). The New Intergovernmentalism and the Study of European Integration. In C. J. Bickerton, D. Hodson, & U. Puetter, *The New Intergovernmentalism: States and Supranational Actors in the Post-Maastricht Era* (pp. 23-87). Oxford Scholarship Online.
- Swartz, N. (1997). *The Concepts of Necessary Conditions and Sufficient Conditions*. Retrieved 05 28, 2017, from <http://www.ucd.ie/artspgs/semantics/swartznsc.pdf>
- კაპანაძე, ს. (2006). *ევროკავშირის პოლიტიკა*. თბილისი: CSS Center For Social Sciences

**ახალი ამბების სააგენტოები:**

- BBCnews. (n.d.). *Democratic Republic of Congo profile - Timeline*. Retrieved 07 01, 2017, from BBC News : <http://www.bbc.com/news/world-africa-13286306>
- Borger, J. (2008, 02 12). *UK blocking European Congo force*. Retrieved 07 01, 2017, from The Guardian : <https://www.theguardian.com/world/2008/dec/12/congo-european-union-foreign-policy>
- DEMOCRATIC REPUBLIC OF CONGO PRESIDENT ASSURES COUNCIL OF HIS COMMITMENT TO LUSAKA AGREEMENT*. Retrieved 06 29, 2017, from United Nations Meetings and Press Releases: (2001, FEBRUARY 02). <http://www.un.org/press/en/2001/sc7006.doc.htm>
- UN News Centre*. (n.d.). Retrieved 07 01, 2017, from Violence continues in northeast DR of Congo as rebels vie for Bunia : <http://www.un.org/apps/news/story.asp?NewsID=7055&Cr=&Cr1=#.WVnUTPmGOUI>
- VOGEL, T. (n.d.). *EU rejects UN request for Congo force*. Retrieved 07 01, 2017, from POLITICO: <http://www.politico.eu/article/eu-rejects-un-request-for-congo-force/>

*ევროკავშირისა და გაეროს რეზოლუციები და დადგენილებები და სხვა შეთანხმებები*

*CHARTER OF THE UNITED NATIONS.* (1945).

*Ceasefire Agreement (Lusaka Agreement).* (1999). Retrieved 06 29, 2017, from United Nations Peacemaker: <http://peacemaker.un.org/drc-lusaka-agreement99>

*Joint Statement on UN-EU cooperation in Crisis Management .* Brussels: COUNCIL OF THE EUROPEAN UNION. (2007).

*COUNCIL JOINT ACTION 2006/319/CFSP.* (27 April 2006)

*COUNCIL JOINT ACTION 2003/423/CFSP.* Official Journal of the European Union. (5 June 2003).

*COUNCIL JOINT ACTION 2007/677/CFSP.* on the European Union military operation in the Republic of Chad and in the Central African Republic.

*RESOLUTION 1279* Adopted by the Security Council at its 4076th meeting. (1999).

*Resolution 1671* UN Security Council. (2006) .

Resolution1484. Adopted by the Security Council at its 4764th meeting. (30 May 2003).

RESOLUTION1778 SECURITY COUNCIL. . (2007).

*საინფორმაციო დოკუმენტები და სხვა წყაროები*

*ARTEMIS/DRC.* (n.d.). Retrieved 06 28, 2017, from European External Action: [http://www.eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/artemis-drc/index\\_en.htm](http://www.eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/artemis-drc/index_en.htm)

EEAS. (n.d.). *EUFOR Tchad/RCA; Mission description.* Retrieved 07 02, 2017, from European Union External Action: [http://www.eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/eufor-tchad-rca/mission-description/index\\_en.htm](http://www.eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/eufor-tchad-rca/mission-description/index_en.htm)

*EUFOR RD CONGO: THE MISSION.* (n.d.). Retrieved 06 27, 2017, from European External Action: [http://www.eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/eufor-rd-congo/pdf/01012007\\_1\\_factsheet\\_eufor-rd-congo\\_en.pdf](http://www.eeas.europa.eu/archives/csdp/missions-and-operations/eufor-rd-congo/pdf/01012007_1_factsheet_eufor-rd-congo_en.pdf)

*European Union External Action* . (n.d.). Retrieved 06 28, 2017, from [https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/82/about-the-european-external-action-service-eeas\\_en](https://eeas.europa.eu/headquarters/headquarters-homepage/82/about-the-european-external-action-service-eeas_en)

Factsheets, E. (2016). *The European Union at the United Nations*. EEAS Factsheets.

*Foreign policy: aims, instruments and achievements*. (n.d.). Retrieved 06 23, 2017, from European Parliament:

[http://www.europarl.europa.eu/atyourservice/en/displayFtu.html?ftuId=FTU\\_6.1.1.html](http://www.europarl.europa.eu/atyourservice/en/displayFtu.html?ftuId=FTU_6.1.1.html)

*Foreign & Security Policy*. (n.d.). Retrieved 06 26, 2017, from European Union: [https://europa.eu/european-union/topics/foreign-security-policy\\_en](https://europa.eu/european-union/topics/foreign-security-policy_en)

IMFdata. (n.d.). *Direction Of Trade Statistics* . Retrieved 06 20, 2017, from International Monetary Fund: <http://data.imf.org/?sk=9D6028D4-F14A-464C-A2F2-59B2CD424B85&slId=1454702198568>

*MONUC Resources*. (n.d.). Retrieved 06 30, 2017, from Why the DRC Matters; UNITED NATIONS:

<http://www.un.org/en/peacekeeping/missions/past/monuc/documents/drc.pdf>

UNSCDocumentS/2007/488. (2007). *Report of the Secretary-General on Chad and the Central African Republic*. Security Council .

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Nino Dzamukashvili

**EU Cooperation with the UN in the Field of Maintaining Peace and  
Security: The Reasons for Varying Attitudes**

Master of Diplomacy and International Politics

The Thesis is submitted in partial fulfillment of the requirements for a degree of  
Master of Diplomacy and International Politics

Supervisor: Eka Akobia

Associated Professor

Doctor of International Relations

Tbilisi

2017